კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№20 (1710) 10 — 16 ივლისი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

აუდიტის ანგარიში, რომელიც მთავარმა მაკონტროლებელმა უწყებამ საქართველოს პროკურატურაში გადააგზავნა

ფინანსური დარღვევები საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში

რა არის, რა მიზნით შეიქმნა და როგორ იშიფრება აბრევიატურა „ეუთო“

ყველაფერი კიდევ ერთ გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციაზე

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რას მოუტანს ენმ-ს თამარ კორძაიასთან, ლაშა ბაქრაძესა და არმაზ ახვლედიანთან დამეგობრება

ნაცნობი და უცნობი ფაქტები ყოფილი მმართველი გუნდის წარსულიდან

რა ქონებას ფლობს „ნაცების“ ახალი სახე – ოთხწლიანი დაძველებით

თამარ კორძაიას ქონებრივი დეკლარაცია

საგანგებო და კრიზისული სიტუაციების გაშუქების საკითხებზე მედიასემინარი დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და გაერო-ს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებით, საგანგებო და კრიზისული სიტუაციების მედიასემინარი დაიწყო.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თემურ მღებრიშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა, ქეთევან კოვზიაშვილმა, ასევე, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის პროგრამის მენეჯერმა, ქეთევან ხუციშვილმა და გაერო-ს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) პროექტის მენეჯერმა, ელენე ალადაშვილმა.

მედიასემინარს სხვადასხვა ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტოებისა და რეგიონული მედიის ჟურნალისტები ესწრებიან. სწავლებას საერთაშორისო ექსპერტები უძღვებიან და განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა კრიზისული კომუნიკაციის საფუძვლები და მედიის როლი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტები და პროტოკოლები, ეთიკა და კრიზისული კომუნიკაცია, პროფესიული ქცევის წესები და სხვა.

აღნიშნული სემინარი გაერო-ს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ – ფარგლებში ხორციელდება.

აღნიშნული პროექტი „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE)“ – ინიციატივის ნაწილია და 2020 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. მისი მიზანია საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ჩართული სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა.

ავტომობილების წინა გვერდითა მინების დამუქების წესში ცვლილებები შევიდა

ავტომობილების წინა გვერდითა მინების დამუქების წესში ცვლილებები შევიდა. მიმდინარე წლის 3 ივლისიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს მიეცათ უფლება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობის გარეშე, წინა გვერდითა მინები დაამუქონ 60%-მდე.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე, წინა გვერდითა მინების დამუქებაზე მოქმედებდა 40%-იანი შეზღუდვა.

რაც შეეხება მძღოლის უკან მსხდომი მგზავრების მხარეს განთავსებულ გვერდითა მინებს, მათზე კვლავ 75%-იანი შეზღუდვა მოქმედებს.

მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის 26 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში, სხვადასხვა ქვეყნის 26 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევეს. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, იძულების წესით იქნა გაძევებული ქვეყნიდან.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა ირანის ისლამური რესპუბლიკის, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის, იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს, ერაყის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინდოეთის რესპუბლიკისა და სხვა უცხო ქვეყნების, ჯამში, 26 მოქალაქე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მისი ერთ-ერთი კომპეტენცია საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელებაა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები UEFA-ს 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის უსაფრთხოდ ჩატარებაში მონაწილეობდნენ

UEFA-ს 2024 წლის ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და საზოგადოებრივ საქმეთა ფედერალურ სამინისტროსა და ფედერალური პოლიციის ინიციატივით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ასპარეზობის პერიოდში – 14 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, ჩემპიონატის ფარგლებში ჩატარებული მატჩების დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ცენტრში (IPCC EURO 2024).

ასევე, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ორ-ორი თანამშრომელი სტადიონებზე, მობილური ჯგუფის სახით, საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშების დროს, მონაწილეობდა ადგილობრივი პოლიციის შესაბამისი დანაყოფების ხელშეწყობის ოპერაციებში – საქართველოს ნაკრების გულშემატკივართა თავშეყრის ადგილებსა და მათ მიერ ორგანიზებულ მსვლელობებში.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ათი თანამშრომელი, ყოველდღიურად, სხვადასხვა ქალაქის აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებზე, გერმანელ პოლიციის ოფიცრებს უწევდნენ დახმარებას ქართველ გულშემატკივართან ეფექტურ კომუნიკაციასა და მართლწესრიგის დაცვაში.

ქედის მუნიციპალიტეტში შშმ პირის გაუპატიურების საქმეზე გამოძიება დაიწყო

ქედის მუნიციპალიტეტში, 35 წლის შშმ პირის გაუპატიურების ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

უწყებაში აცხადებენ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ერთ-ერთ სოფელში, ნათესავთან სტუმრად იმყოფებოდა, რომელმაც მეზობელ ქალზე ჯერ ფიზიკურად, შემდეგ კი სექსუალურად იძალადა.

რა არის, რა მიზნით შეიქმნა და როგორ იშიფრება აბრევიატურა „ეუთო“

ნინო დოლიძე

ამ დღეებში ერთობ აქტუალური იყო ეუთო-ს ახალი რეზოლუცია, რომელმაც ქართულ პოლიტიკურ ინსტებლიშმენტში ვნებათაღელვა გამოიწვია, თუმცა ამჯერად „ვერსია“ ამ რეზოლუციის ნიუანსებს კი არა, თავად ეუთო-ს როლსა და მისიაზე გესაუბრებათ. მოკლედ, რა არის, როდის შეიქმნა და რა გავლენას ახდენს ეუთო გლობალურად – მსოფლიო და ლოკალურად – ქართულ პოლიტიკაზე?



ყველაფერი კიდევ ერთ გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციაზე

ეუთო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის აბრევიატურაა, რომელიც ევროპაში უშიშროების სერიოზულ ორგანიზაციად ითლება და რომელშიც 55 სახელმწიფოა გაწევრიანებული. შესაბამისად, ეუთო-ს საზღვრები გადაჭიმულია „ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე“ (ეუთო-ს სახელმძღვანელო, 2001).

სხვათა შორის, გაერო-ს წესდების მე-8 პრიმა თავში, ეს ორგანიზაცია აღიარებულია, როგორც „ევროპის რეგიონული მექანიზმი აღნიშნული მიზნებისთვის“.

მართლია, ეუთო-ს მთელი აქცენტი უშიშროებაზე – შეიარაღების კონტროლი, კონფლიქტების თავიდან აცილება, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი უშიშროება – გადატანილი, ორგანიზაცია, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უშიშროების საკითხებთან დაკავშირებულ ადამიანურ პრობლემებს.

ამ მხრივ, ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპები წააგავს გაერო-სეულ დასაბუთებას: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და განვითარება განიხილება, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მიუხედავად ამისა, გაერო-სგან განსხვავებით, ეუთო-ს არა აქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი ანუ ის უმთავრესად პოლიტიკური ორგანოა.

ორგანიზაციის შექმნის იდეა იდეოლოგიურად დაყოფილ ევროპაში გაჩნდა და მისი ამოცანა, იმთავითვე, კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის განვითარება იყო.

ეს პროცესი კი 1973 წელს, ჰელსინკიში მაშინ დაიწყო, როცა ოფიციალურად გაიხსნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია.

აშშ-სა და კანადასთან ერთად, კონფერენციას მთელი ევროპა (ალბანეთის გარდა) დაესწრო.

ჰელსინკის კონფერენციის საბოლოო აქტს ხელი 1975 წელს, ოცდათხუთმეტი სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა.

დელეგატების გადაწყვეტილებით, კონფერენციამ ჩამოაყალიბა მიზნები და საერთო ნიშნების სფეროები, რასაც ზურგს უმაგრებდა ის მოსაზრება, რომ ყველა დამსწრე სახელმწიფო დაინტერესებული იყო ევროპის უშიშროებასა და შემდგომი კონფლიქტების თავიდან აცილებაში იმ რეგიონში, რომელსაც ოცდაათი წლის განმავლობაში ორჯერ გადაუარა ომის ქარიშხალმა.

მონაწილე სახელმწიფოები, ასევე, იძლეოდნენ ერთად მუშაობის პირობას პერიოდული კონფერენციებისა და შეხვედრების დახმარებით.

ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე, თავად შეხვედრები იყო ერთადერთი მამოძრავებელი ძალა კავშირის დასამყარებლად „რკინის ფარდის“ მიღმა. პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ეს იყო გასაოცრად წარმატებული რამ.

ჰელსინკის კონფერენციის მიერ მიღებული საბოლოო აქტის რეკომენდაციათა მესამე პაკეტი დაკავშირებულია თანამშრომლობასთან ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში. ეს ფართო კატეგორია ეხება დამიანის უფლებებს, განათლებასა და კულტურას ანუ მუხლებში ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი, აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის და ასევე, თვითგამორკვევის მტკივნეული საკითხი.

იმხანად ცვლილებებისკენ მიმართულ მთავარ სტიმულს წარმოადგენდა მხარეების რეაქცია კომუნიზმის დამხობაზე.

1990 წლის პარიზის ქარტია „ახალი დასაწყისი“ გახდა გაერთიანებული და თავისუფალი ევროპისთვის.

1994 წელს, ახალი ინსტიტუციონალური ჩარჩო და მის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები აისახა გადაწყვეტილებაში, 1995 წლიდან, პროცესის „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (ეუთო) ფორმატში დაწყების შესახებ.

ეუთო მუშაობდა ევროპაში, რაც წარმოუდგენელი იყო იმ წლებში, რომლებიც წინ უძღვოდა ჰელსინკის პირველ კონფერენციას და მას შემდეგ, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა უჩვეულო გამოწვევა იყო ორგანიზაციისა და მისი აქცენტისთვის უშიშროების საკითხებზე.

ეუთო-ს დღევანდელ პრიორიტეტებს წარმოადგენს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში დახმარება კანონის უზენაესობაზე დაყრდნობით, ადგილობრივი კონფლიქტების თავიდან აცილება და უშიშროების ერთობლივი სისტემის პროპაგანდა.

ამ მიზნებისკენ მოძრაობის პროცესში, ეუთო-მ ჩამოაყალიბა საველე მოქმედებათა და მთელი რიგი საველე მისიების სისტემები.

ეუთო-ს მისიები განლაგებულია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ტერიტორიებზე. აქ იგულისხმება მისიები ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, ოფისები ერევანში, ბაქოში, ცენტრალურ აზიაში, წარმომადგენლობა ალბანეთში, მონიტორინგის ჯგუფები ბელარუსში და საქმიანობა ესტონეთსა და ლატვიაში.

დღემდე ეუთო-ს ერთ-ერთი ყველაზე ფართო მასშტაბური ოპერაციის ადგილია კოსოვო, სადაც გაერო-სთან ერთად მუშაობს და სადაც მრავალი სხვა ორგანიაცია თუ ორგანოა წარმოდგენილი.

ვინიდან თანამედროვე ევროპაში ეთნიკური კონფლიქტები ფართომასშტაბური ძალადობის უმთავრესი წყაროა, რეგიონში განახლდა ინტერესი ადამიანის უფლებების მიმართ.

ეუთო-ს სამუშაოს ადამიანური განზომილება მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბოლო წლების განმავლობაში ანუ მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დემოკრატიულ დაწესებულებათა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისრის ოფისი (ორივე ჩამოყალიბდა 1992 წელს) და, უფრო მოგვიანებით, 1997 წელს, მედიის თავისუფლების წარმომადგენლის ინსტიტუტი.

სინამდვილეში, ეუთო ცდილობს ადამიანის უფლებათა გამოყენებას რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების მიზნით. ეს უკავშირდება გაერო-ს ადრეულ მიდგომას. ადამიანის უფლებათა დაცვა, თავისთავად, მიზნად ისახავს არა იძულებითი ღონისძიებების გატარებას, არამედ, ადამიანის უფლებათა პატივისცემის კულტურის განვითარებასა და, მაშასადამე, დემოკრატიულ და მშვიდობიან საზოგადოებათა ევოლუციას.

ამ თვალსაზრისით, კავშირი შეიძლება მოიძებნოს ამერიკული სახელმწიფოების კომისიის ორგანიზაციის პიონერულ სამუშაოსთან, რომელიც ეხება ახლადწარმოქმნილი დემოკრატიების განვითარებასა და გაძლიერებას, უსაფრთხოების მხრივ, არასტაბილურ რეგიონებში.

რას მოუტანს ენმ-ს თამარ კორძაიასთან, ლაშა ბაქრაძესა და არმაზ ახვლედიანთან დამეგობრება

ნაცნობი და უცნობი ფაქტები ყოფილი მმართველი გუნდის წარსულიდან

ნინო დოლიძე

ოპოზიციურ ფლანგზე დიდი ამბებია – პარტიები ჯერ ბოლომდე არ ჩამოოყალიბებულან, საარჩევნოდ ვინ ვისთან გაერთიანდება ანუ გადაწყვეტილია, რომ ერთიანი სია არ იქნება და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ჩანს, ენმ-ა. ესე იგი, ოპოზიციის უმრავლესობას არ უნდა, რომ 26 ოქტომბრის საარჩევნო მარათონში „ნაცებთან“ იასპარეზოს. ამასობაში კი, ექსპრეზიდენტის პარტია ახალ პლატფორმას ქმნის, უფრო კონკრეტულად, ნაციონალური მოძრაობა და გიორგი ვაშაძის სტრატეგია აღმაშენებელი, არჩევნებზე, პოლიტიკური პლატფორმა – „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“ გამოვლენ. ამასთან, როგორც ირკვევა, ახალ გაერთიანებაში, გიორგი ვაშაძისა და სოფო ჯაფარიძის გარდა, გია ჯაფარიძე, ლაშა ბაქრაძე, თამარ კორძაია და არმაზ ახვლედიანიც იქნებიან. საერთოდ, ეს ენმ-ს ე.წ. რებრენდინგის პირველი შემთხვევა არაა – დაარსების დღიდან, სააკაშვილის პარტიამ არაერთი ქარტეხილი გადაიტანა, კერძოდ, ძირძველმა ნაცებმა პარტია სხვადასხვა პერიოდულობით დატოვეს, მათ შორის, აღსანიშნავია იგივე გიგა ბოკერიას „გაქცევა“, რომელიც ამჯერად სათავეში ევროპულ საქართველოს უდგას. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რა ბენეფიტებს მოუტანენ ენმ-ს თამარ კორძაია, გია ჯაფარიძე თუ არმაზ ახვლედიანი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მაინც ისე ჩანს, რომ ყოფილი მმართველი გუნდი კვლავ ყველაზე დიდი ოპოზიციური პლატფორმაა. ამ ფონზე, ალბათ, უპრიანი იქნება, „ვერსიის“ არქივიდან გავიხსენოთ, თუ რა გზა განვლო ენმ-მ დაარსებიდან დღემდე.

ლამის, ორი ათეული წლის წინ, პარტიას რომ აფუძნებდა, ქართული პოლიტიკის მაშინდელი ამომავალი ვარსკვლავი ანუ მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ დაუშვებდა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა ვიღაცები მისთვის „მშობლის“ უფლების ჩამორთმევას შეეცდებოდნენ, მაგრამ დღეს სააკაშვილი არათუ ლიდერი, არამედ, საკუთარი პარტიის რიგითი წევრიც კი აღარ არის...

ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გჯერათ თუ არა, ფაქტია: კაცობრიობა არაერთი ამოუხსნელი ფაქტისა თუ მოვლენის მოწმეა. ერთ-ერთი ასეთი ამოუხსნელი მოვლენა რეინკარნაციაა. აბა, თუ არა რეინკარნაცია, სხვა რით უნდა აიხსნას, რომ ლამის საუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, გერმანული ამბავი, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით განმეორდა?! დიახ, ყველაფერი 21-ე საუკუნეში კი არა, გაცილებით ადრე, ბებერ ევროპაში დაიწყო:

ზუსტად იმ წელს, საქართველოში რუსული ბოლშევიზმი რომ შემოიჭრა, ავსტრო-უნგრეთის ქალაქ ინის ბრაუნაუში დაბადებული ახალგაზრდა კაცი გერმანული ნაცისტური პარტიის ლიდერი გახდება. ცხადია, ადოლფ ჰიტლერს აზრადაც არ მოსდის, რომ ზუსტად 80 წლის შემდეგ, ქვეყანაში, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და რომელსაც მზიან საქართველოს ეძახიან, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც მისი ნაცისტური პარტიის რეინკარნირებას განახორციელებს.

ვერ ვიტყვით, სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჰიტლერის ნაცისტური პარტიის ალიკვალი იყოო, მაგრამ მიშასა და ადოლფს შორის საკმარისზე მეტი მსგავსება არსებობს – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როცა ნაცისტების ლიდერი გახდა, ჰიტლერი 32 წლის იყო, სააკაშვილმა კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 34 წლის ასაკში დააფუძნა.

„ჩვენ გვჭირდება ზომიერად აგრესიული ახალგაზრდები!“ – ცდებით, თუ გგონიათ, რომ ამ სიტყვების ავტორი ადოლფია. ეს ფრაზა იმხანად, როცა ნაცმოძრაობას ქმნიდა, მიხეილმა წამოისროლა და, მართლაც, ნაცმოძრაობა არაერთი „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდის ნავსაყუდელი გახდა, თუმცა დროთა განმავლობაში, ამ „ზომიერებამ“ აღვირი (ესეც პრეზიდენტყოფილის სიტყვაა – წლების წინ ბრძანა, აღვირი არ მაქვსო) დაკარგა და პირტიტველა გოგო-ბიჭები, რომლებიც, თავის დროზე, გულანთებული პატრიოტები გვეგონნენ და ვთვლიდით, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის უმწიკვლოდ იბრძოდნენ, ლამის, მონსტრებად იქცნენ.

ამ შეფასებამ ვინმეს, შესაძლოა, ნერვები მოუშალოს, მაგრამ ფაქტებს ვერსად გავექცევით! აი, ერთ-ერთი ფაქტიც:

ჰიტლერის ნაცისტურმა პარტიამ ჰოლოკოსტი შვა, სააკაშვილის ნაცმოძრაობამ კი პირდაპირ ეთერში, საფუძველი ჩაუყარა „ტრუსიკ-მაიკით დაჭერებსა“ და „ნულოვან ტოლერანტობას“.

საერთოდ, მიხეილ სააკაშვილს შეიძლება ბევრი რამ დავაბრალოთ. აკი, თვითონაც უთქვამს, ვიღაცები გიჟსაც მეძახიანო, მაგრამ რაც უნდა იყოს, ვერ ვიტყვით, რომ გაუნათლებელია. დიახ, პრეზიდენტყოფილი უდავოდ განათლებულია. ჰოდა, დაუჯერებელია, ვერ მიმხვდარიყო, იმის გამო, რომ საკუთარ პარტიას ნაციონალური მოძრაობა დაარქვა, ვიღაცები ჰიტლერს შეადარებდნენ, თუმცა თუკი ნლპ-ს (ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება – ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობა, რომელსაც, როგორც ამბობენ, მსოფლიოს ზესახელმწიფოების უშიშროების სამსახურები ხალხის სამართავად იყენებენ) ლოგიკას გავყვებით, შეიძლება, მივიდეთ დასკვნამდე, რომ მიხეილმა პარტიას ჰიტლერული სახელი მიზანმიმართულად დაარქვა.

ნლპ-ს ლოგიკითვე, შემთხვევითი არც „ზომიერად აგრესიული ახალგაზრდების“ ძებნა უნდა ყოფილიყო...

დასასრული მე-5 გვერდზე

რას მოუტანს ენმ-ს თამარ კორძაიასთან, ლაშა ბაქრაძესა და არმაზ ახვლედიანთან დამეგობრება

მე-4 გვერდიდან

ერთ-ერთი პირველი, „ზომიერად აგრესიული“ ახალგაზრდა, ვინც სააკაშვილის გვერდით დადგა, ვანო მერაბიშვილი გახლდათ – 2001 წელს, „ვაშინგტონ პოსტმა“ იმ დროისთვის, პრაქტიკულად, უცნობ მოქკავშირელ დეპუტატთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც შევარდნაძის პარტიაში გამეფებულ მანკიერებებზე ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. პოლიტმკვლევარების შეფასებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაფუძნებას საძირკველი, სწორედ მერაბიშვილის ამ განცხადებით ჩაეყარა.

სხვათა შორის, ძველ დოკუმენტებში მიხეილ სააკაშვილი, როგორც პარტიის ხელმძღვანელი არ ფიგურირებს. ყოველ შემთხვევაში, იმ მასალის თანახმად, რომელიც Google-ის საძიებო სისტემაში მოიპოვება, პოლიტიკურმა გაერთიანებამ რეგისტრაცია 2001 წლის 29 სექტემბერს გაიარა (რეგ. №138) და მისი ხელმძღვანელი ზურაბ მელიქიშვილი იყო. ეს ის ზურაბ მელიქიშვილია, რომელიც ნაცმოძრაობის ზეობისას, მუდმივად ქართული პოლიტიკის ავანგარდში ტრიალებდა – ხან გავლენიანი პარტიული თანმდებობა ეკავა, ხან კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობდა, ერთხანობას, ქვემო ქართლის გუბერნატორიც იყო, ამის შემდეგ კი პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, მიშა წარსულს უფასებდა...

ამავე დოკუმენტით ირკვევა, რომ თავდაპირველად, სააკაშვილის პარტიას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი არა, „ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გადასარჩენად“ ერქვა.

რაც შეეხება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ამ სახელწოდების პარტია საქართველოში, პირველად, 1999 წელს გამოჩნდა და მას უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი მირიან მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობა ოპოზიციაში გადავიდა და საქართველოს მართვის სადავეები „ოცნებამ“ აიღო, ბატონმა მირიანაშვილმა პარტიის სახელის დასაბრუნებლად სამართლებრივი ბრძოლა დაიწყო.

პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ისტორია სულ რამდენიმე აბზაციითა მოყოლილი:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილის ლიდერობითა და ინიციატივით, 2002 წელს დაფუძნდა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო.

2004-დან 2012 წლამდე, ჩვენმა პარტიამ, ქართველი ხალხის მხარდაჭერით, არშემდგარი სახელმწიფო ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ქვეყნად აქცია. საქართველო მსოფლიო ბანკმა ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღიარა.

2012 წლიდან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაშია.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დასავლური ტიპის, ღია პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც კოლექტიური მართვის ორგანოებისა და დემოკრატიული შიდა დისკუსიის საფუძველზე იმართება. შესაბამისად, მთელი ინფორმაცია ჩვენ შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია“.

ამ ოფიციალური ანოტაციით თუ ვიმსჯელებთ, ნაცბელადები პარტიის ისტორიას თუ არ აყალბებენ, მინიმუმ, დეტალების დამალვას ცდილობენ. თუ ასე არაა, მაშინ საინტერესოა, ენმ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე იმის შესახებ რატომ არაფერია ნათქვამი, რომ ნაცმოძრაობის ავანგარდში, თავის დროზე, ზვიად ძიძიგურის კონსერვატიული პარტიაც იდგა და რესპუბლიკური პარტიაც? ყოველ შემთხვევაში, 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ნაცმოძრაობამ ბლოკი სწორედ ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტთან შექმნა. მეტიც, თვითმხილველებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ ამ გაერთიანების თანათავმჯდომარის ფუნქციას ლევან ბერძენიშვილი ასრულებდა, თუმცა, როგორც ჩანს, ისტორიის „გადაწერა“ პოლიტიკოსთა მავნე სტილია.

ვებ-გვერდზე განთავსებულ პარტიის ისტორიის ოფიციალურ ანოტაციაში, ცხადია, არც იმის შესახებაა ნათქვამი, რომ 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ნაციონალებმა წარმატებას, სწორედ ზემოხსენებული ბლოკის ფორმატში მიაღწიეს და თბილისის საკრებულოში გამარჯვება ლეიბორისტებთან ერთად გაიყვეს. არადა, ეს ნაცმოძრაობის X-ფაილში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდია – ხალხური მითოსით, მიხეილ სააკაშვილის, როგორც პოლიტბელადის ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტი როლი, სწორედ შალვა ნათელაშილმა ითამაშა ანუ ქვეყნის მთავარ ლეიბორისტს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა რომ არ დაეთმო, მიშა ვერც „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმვირატის სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა და, შესაბამისად, ვერც – პრეზიდენტი.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ პოპულარობის ევერესტის დაპყრობა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მერე დაიწყო. სხვათა შორის, ამ არჩევნებში ნაცები ისევ რესპებსა და კონსერვატორებთან ერთად ანუ ბლოკის სახით მონაწილეობდნენ.

შესაბამისად, რევოლუციების ღმერთებსა თუ დემონებს სამივე ძალამ სული, ალბათ, ერთად მიჰყიდა, თუმცა 2004 წელს, როცა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და საკანონმდებლო ორგანოში შევიდნენ, რესპებმა, ძიძიგურისა არ იყოს, ნაცებს ქოქოლის მიყრა დაუწყეს.

ეს გაბლოკებაც, როგორც ჩანს, ზემოხსენებული პოლიტიკური ალგორითმის ნაწილი გახლდათ.

საერთოდ, ნაცმოძრაობიდან გაქცევა ერთგვარი ტრადიციაა და, როგორც წესი, პირწავარდნილი და მგზნებარე მიშისტები გარბიან ხოლმე. ამ მხრივ, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ „გამქცევად“, შესაძლოა, ირაკლი ოქრუაშვილი ჩავთვალოთ – თავდაცვის ექსმინისტრმა მიშას პარტია 2007 წელს დატოვა. მაშინ ამბობდნენ, რომ ამით ენმ-ს სერიოზული ზიანი მიადგებოდა, თუმცა ასე არ მოხდა – მიუხედავად იმისა, რომ „ოქროს“ გაქცევა სისხლიან 7 ნოემბრად და ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებად დაუჯდა, ნაცმოძრაობამ ორივე არჩევნებში მაინც დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია, თუმცა „დამაჯერებლობა“, ალბათ, გადაჭარბებული ეპითეტია, რამეთუ დღემდე არსებობს ვარაუდი, რომ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

ნაცმოძრაობიდან გაქცევამ მასშტაბური სახე 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მერე მიიღო, რაც ერთგვარ ტრადიციადაც იქცა: მას შემდეგ, რაც ცხრაწლიანი მმართველობა დაკარგა, ენმ ჯერ გოგა ხაჩიძემ, პავლე კუბლაშვილმა და კიდევ რამდენიმე ძირძველმა ნაცმა დატოვა, მალევე, მათ გზას გიორგი ვაშაძეც დაადგა, თუმცა დღეს ვაშაძე ისევ ენმ-ს ავანგარდშია.

აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი, პოლიტიკაში მარადიული მტრები და მეგობრები არ არსებობენო...

რა ქონებას ფლობს „ნაცების“ ახალი სახე – ოთხწლიანი დაძველებით

თამარ კორძაიას ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

„წელიწადზე მეტია, ვხედავთ საქართველოს მოქალაქეების მოთხოვნას, რომ ოპოზიციამ იაროს შეთანხმებით, კომპრომისით, რათა ოქტომბერში „ქართული ოცნება“ დამარცხდეს. ჩვენ დღეს პირველი ნაბიჯი გადავდგით. მე დარწმუნებული ვარ, სხვა ოპოზიციური პარტიებიც მიიღებენ მსგავსს, ერთიანობის გადაწყვეტილებას და საბოლოოდ, საერთო თანხმობით, კოალიციურად დავამარცხებთ „ქართულ ოცნებას“. ჩემი დღევანდელი გადაწყვეტილება ამით არის ნაკარნახევი“, – განაცხადა თამარ კორძაიამ ახალი პოლიტიკური პლატფორმა – „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“ პრეზენტაციაზე.

ახალი პოლიტიკური პლატფორმის პრეზენტაცია 8 ივლისს, ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე გაიმართა. უფრო ზუსტად, ეს პლატფორმა ნაციონალურმა მოძრაობამ და სტრატეგია აღმაშენებელმა დააფუძნეს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თინა ბოკუჩავამ პარტიის ყრილობაზე განაცხადა, გიორგი ვაშაძისა და სოფო ჯაფარიძის გარდა, ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში ვიხილავთ გია ჯაფარიძეს, ლაშა ბაქრაძეს, თამარ კორძაიასა და არმაზ ახვლედიანს. „ვერსიაა“ თამარ კორძაიას ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, თუმცა მანამდე, ტრადიციულად, მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

დეპუტატის ბიოგრაფია

თამარ კორძაია დაიბადა 1977 წლის 18 ივლისს, ქალაქ სოხუმში. 1999 წელს, დაამთავრა თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ხოლო 2003 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2002-2012 წლებში, თამარ კორძაია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მედიისა და ინფორმაციის თავისუფლების პროექტებს ხელმძღვანელობდა; 2012-2013 წლებში იყო საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი; 2010 წლიდან – საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორი; 2013-2016 წწ. – საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან: „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“; 2013-2015 წწ. – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი; 2013 წელს – საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი; 2013-2015 წწ. – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი; 2015-2016 წწ. – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი; 2016 წელს – თამარ კორძაია ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილეა; 2020 წლიდან – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლმენტის წევრია პარტიული სიით, ბლოკიდან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

2021 წლის 4 ივნისს, თამარ კორძაიამ „რესპუბლიკური პარტია“ დატოვა.

ქონებრივი დეკლარაცია

ქონებრივი დეკლარაცია თამარ კორძაიას, ბოლოს, 2024 წლის 25 თებერვალს შეუვსია. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ჰყავს შვილი – ლაშა გურჩიანი. რაც შეეხება ქონებას, დეკლარაციდან ირკვევა, რომ მის საკუთრებაშია 1210 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირში. უფრო ზუსტად, ეს არის თამარ კორძაიასა და მისი ძმის – ლევან კორძაიას საკუთრება, თუმცა 2021 წლის 22 ივლისს, ამ სახლის 50%-იანი წილი, სწორედ ძმას უჩუქებია.

გარდა ამისა, თამარ კორძაიას 100%-იან საკუთრებაშია ორი ბინა თბილისში, ერთი – მარჯანიშვილის ქუჩაზე, 38.18 კვ. მეტრი ფართობის, რომელიც 2017 წელს, 35 000 აშშ დოლარად შეუძენია და მეორე – ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, 93 კვ. მეტრი ფართობის ბინა, რომელიც 2009 წელს, 26 000 აშშ დოლარად იყიდა.

დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ 2023 წელს, თამარ გურჩიანის, როგორც ილიაუნში მიწვეული ლექტორის წლიური შემოსავალი 20 484 ლარი ყოფილა, როგორც პარლამენტის წევრის წლიური შემოსავალი – 48 269 ლარი, როგორც საქართველოს უნივერსიტეტში მიწვეული ლექტორის წლიური შემოსავალი კი მხოლოდ 3 370 ლარი. რაც შეეხება ლაშა გურჩიანს, ის აუდიტორული კომპანია KFMG-ის ასისტენტი გახლავთ და მისი წლიური შემოსავალი 2023 წელს – 11 976 ლარი ყოფილა.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ თამარ კორძაიას 50 000 აშშ დოლარის იპოთეკური სესხი და 1915 ლარის განვადებით ნასყიდობის სესხი ჰქონია აღებული. რაც შეეხება 3 799 ლარის განვადებით ნასყიდობის სესხს, ის 2023 წელს დაუსრულებია.

აუდიტის ანგარიში, რომელიც მთავარმა მაკონტროლებელმა უწყებამ საქართველოს პროკურატურაში გადააგზავნა

ფინანსური დარღვევები საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში

მაკა რუხაძე

„2023 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან საქართველოს პროკურატურაში გადმოიგზავნა 9 ანგარიში, რომელთა საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე, ხოლო 4 ანგარიში თემატურად დაერთო მანამდე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებს. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, 2023 წელს, პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მათგან 9 ბრალდებული, დანაშაულის ჩადენის მომენტში, მუშაობდა საჯარო სექტორში“, – ვკითხულობთ საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში. ამ ანგარიშში ერთი თავი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებს ეძღვნება.

„ვერსიის“ წინა ნომერში, გენერალური აუდიტორის, ცოტნე ყავლაშვილის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში შემოგთავაზეთ, რომლითაც ის საქართველოს პარლამენტში წარსდგა.

გენერალურმა აუდიტორმა აღნიშნა, რომ 2023 წლის მანძილზე, უწყებამ 21 დასკვნა გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში, მათ შორისაა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ფინანსური საქმიანობის ანგარიში, რომელიც 2019-2021 წლების ფინანსურ საქმიანობას მოიცავს და რომელიც „ვერსიაში“ შარშან, დეტალურად განვიხილეთ. შეგახსენებთ, რომ 2019-2021 წლებში, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის შემოსავლებმა შეადგინა 8 054 958 ლარი, მათ შორის, საბიუჯეტო დაფინანსება – 5 236 375 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 2 818 583 ლარი იყო. ამავე პერიოდში, ფედერაციის ხარჯები – 7 488 413 ლარი გახდლდათ, საიდანაც საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისთვის დაიხარჯა 3 125 425 ლარი, წინასაშეჯიბრო შეკრებებზე – 680 851 ლარი, ადგილობრივ ტურნირებზე – 924 383 ლარი, ხოლო ფედერაციის მართვაზე – 2 757 753 ლარი.

ხარვეზები შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაცია სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე, სხვადასხვა მომსახურებისა და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე არსებული გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

„სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური დონის ამაღლების მიზნით, 2019-2021 წლებში, ფედერაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დაფინანსებამ შეადგინა 680 851 ლარი. შეკრებების ორგანიზების ხარჯების დიდი ნაწილი – 292 725 ლარი მოდის სასტუმრო მომსახურებაზე, რომლის შესყიდვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები გამოირჩევა შემდეგი სახის ნაკლოვანებებით: რიგ შემთხვევებში, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა განხორციელებულია ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები; ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული და განსაზღვრული სპორტსმენთა კვებისათვის საჭირო რაციონი და მისი ღირებულება; არ არსებობს შეკრებების ჩატარების პერიოდულობის, ხანგრძლივობის, მათში მონაწილეთა შემადგენლობის და რაოდენობის დადგენის წესი; შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება დადასტურებული არ არის შეკრებების მომზადებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი გუნდის მწვრთნელების მიერ; არ ხორციელდება შეკრებებში მონაწილე პირთა რეგისტრაცია/აღრიცხვა და წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება გაწეული მომსახურების რეალური მოცულობა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2019-2021 წლებში, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 174 834 ლარი. ამ შემთხვევაშიც, მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, უფრო ზუსტად, მომსახურების 45% ბაზრის კვლევის გარეშეა შესყიდული, თანაც ერთი მიმწოდებლისგან. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების დროს მონაწილე სპორტსმენთა გადაყვანაზე ერთსა და იმავე პერიოდში, მგზავრთა რაოდენობის, მანძილისა და მარშრუტის უცვლელობის პირობებში, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება. ამ სხვაობებთან დაკავშირებით, ფედერაციის წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორებს სათანადო მტკიცებულებები ვერ წარუდგინეს.

„კერძოდ, 2019 წელს, თბილისში ჩატარებულ მსოფლიოს ერთა ჩემპიონატზე, ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრთა ტრანსპორტირების ხარჯმა, 2019 წლის ივნისში, შეადგინა დღეში 400 ლარი. ამავე წლის აგვისტოში, 17 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატზე, დღიურმა ხარჯმა შეადგინა 250 ლარი. ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერ გაწეული სატრანსპორტო მომსახურება ანაზღაურებულია მარშრუტის მანძილიდან გამომდინარე, ურთიერთშეუსაბამო ტარიფებით. კერძოდ, 2020 წლის აგვისტოში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისი-ურეკი-თბილისის მარშრუტზე – 632 კილომეტრზე, ორდღიანი სატრანსპორტო მომსახურების ტარიფი, ერთ პერსონაზე შეადგენდა 44 ლარს, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისი-ბორჯომი-თბილისის მარშუტზე – 314 კილომეტრზე, ერთდღიანი მომსახურების ტარიფმა, ერთ პერსონაზე – 36 ლარი შეადგინა“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შესამოწმებელ პერიოდში, ბაზრის კვლევისა და შესაბამისი ალტერნატიული წინადადებების განხილვის ანალიზის გარეშე, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ შეისყიდა 49 074 ლარის მედიკამენტები და საკვები დანამატები. მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოშობს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

„შესასყიდი მედიკამენტების, დანამატების მოცულობისა და ნომენკლატურული სტრუქტურის განსაზღვრას საფუძვლად არ უდევს შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნა; საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის გამოყენების ნორმები დადგენილი არ არის ხელბურთელთა ფიზიკური მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე; მედიკამენტებისა და საკვები დანამატების გაცემა არ ხორციელდება ექიმის დანიშნულების მიხედვით. ხელბურთელებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება; მიღებული მედიკამენტებისა და საკვები დანამატების ჩამოწერა ხორციელდება ღონისძიების დასრულების შემდეგ, არა ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ, მიმწოდებლის მიერ გამოწერი-

დასასრული მე-8 გვერდზე

აუდიტის ანგარიში, რომელიც მთავარმა მაკონტროლებელმა უწყებამ საქართველოს პროკურატურაში გადააგზავნა

მე-7 გვერდიდან

ლი ზედდებულის შესაბამისად შედგენილი ჩამოწერის აქტის საფუძველზე, სრულად, ფაქტობრივი ნაშთის დაფიქსირების გარეშე“.

რაც შეეხება საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურებას, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ტურნირებზე მონაწილე გუნდების სასტუმრო მომსახურების, კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები უნდა დაფინანსებულიყო მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან. 2021 წელს, საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურება – 49 450 ლარის ოდენობით, დაფინანსებულია არა მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან, არამედ, კრიტერიუმის შეუსაბამოდ და თანაც საბიუჯეტო სახსრებით!

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული წინადადებების განხილვა-შეფასების გარეშე მიმწოდებლების შერჩევა, ზრდის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასისა და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც თავის მხრივ, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას, შესყიდვის პროცესში. საკვები დანამატებისა და მედიკამენტების საჭიროების განსაზღვრისა და გაცემისას, კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, მაღალია მათი არამიზნობრივი გამოყენების რისკები.

ხარვეზები დაუდასტურებელ ხარჯებში

„მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესაბამისად, მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. ანგარიშვალდებული პირის მიერ შესყიდვების განხორციელება დადასტურებული უნდა იყოს პირველადი დოკუმენტებით.

ვნახოთ, არის თუ არა ეს წესი დაცული საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2021 წლებში, ფედერაციის ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემულ თანხებზე, რიგ შემთხვევებში, წარდგენილი არ არის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

„კერძოდ, 2019 წელს, ფედერაციის საბანკო ანგარიშიდან სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურების მიზნით, ი/მ გია ბადალაშვილზე გადარიცხულ 42 230 ლარსა და ი/მ მამუკა ლომიძეზე გადარიცხულ 11 000 ლარზე, სულ ორივე შემთხვევაში – 53 230 ლარის ტრანზაქციებზე, არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ინვოისები, ზედნადებები და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები); 2019-2021 წლებში, მივლინებების სახით სულ გახარჯულია 86 040 ლარი. რიგ შემთხვევებში, მივლინების მიზნით გაცემული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი არ არის. კერძოდ, 2019-2020 წლებში, ფედერაციაში მივლინების სახით გაცემულ 13 380 ლარზე არ არსებობს ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები; 2019-2021 წლებში, ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე გახსნილი ბიზნეს-ბარათის გამოყენებით, ფედერაციის საბანკო ანგარიშებიდან, თბილისში არსებული სხვადასხვა ბანკომატის მეშვეობით, გამოტანილია სულ – 451 256 ლარი. აღნიშნული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ფედერაციაში არ არსებობს! სალაროს ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით ანგარიშვალდებული პირის მიერ გატანილ თანხებზე ნაწარმოები არ არის. აღნიშნული თანხებიდან, 2021 წელს, ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მიერ, საბანკო ანგარიშზე დაბრუნებულია 40 000 ლარი“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში, რიგ შემთხვევებში, სამივლინებო თანხების ხარჯვა არ წარმოებს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად. მივლინების თანხები გაცემულია მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დასაქირავებლად, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე. საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ანგარიშსწორებით გატანილ თანხებსა და სატრანსპორტო მომსახურების სახით გაწეულ ტრანზაქციებზე არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტორებმა შიდა კონტროლის ნაკლოვანებებიც გამოკვეთეს. კერძოდ, ირკვევა, რომ ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ, საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი სათანადოდ არ ხორციელდება. მაგალითად, ყოველწლიური ანგარიში ფედერაციის ქონების მდგომარეობის შესახებ, 2019-2021 წლებში არ არის შედგენილი; 2019-2020 წლებში, პრეზიდიუმის სხდომების ჩატარების შესახებ შესაბამისი ოქმები წარდგენილი არ არის; ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი პრეზიდიუმის მიერ მომზადებული და ყრილობის მიერ არ არის დამტკიცებული; საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები და სახელფასო ფონდი 2019 წელს არ დამტკიცებულა; ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ანგარიშები არ შედგენილა და ყრილობაზე დასამტკიცებლად არ წარდგენილა; ყოველი წლის ბოლოს, ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა არ განხილულა და მომავალი წლის ბიუჯეტი არ დამტკიცებულა; წესდების შესაბამისად, ფედერაციის საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი ფედერაციის ხაზინადარის წარდგენა და ყრილობის მიერ არჩევა 2019-2020 წლებში არ განხორციელებულა; 2019-2020 წლებში დამოუკიდებელი აუდიტორი არ მოწვეულა და ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება არ ჩატარებულა.

„ფედერაციაში არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. შესაბამისად, არ არის აღრიცხული ხელბურთის ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფედერაციას კრედიტორული დავალიანების სახით, ხუთი ორგანიზაციის მიმართ გააჩნია ბუღალტრულად აღურიცხავი 292 169 ლარის დავალიანება. აუდიტის პერიოდში ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლინდა 73 სხვადასხვა დასახელების, 98 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი მატერიალური ფასეულობა, მათ შორის, ძირითადი აქტივები“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განუხორციელებლობა, სუსტი შიდა კონტროლის გარემო და ცალკეულ პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობა ზრდის ფულადი სახსრებისა და მატერიალური ქონების არამიზნობრივი, ასევე, არაეფექტიანი გამოყენების რისკებს. შრომითი ურთიერთობები არ ეფუძნება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს; დასაქმებულთა სამუშაო დროის განსაზღვრის მიზნით, ფედერაციის შინაგანაწესი, ან სხვა სახის დამატებითი წერილობითი დოკუმენტი არ არის მიღებული; არ არსებობს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა, რაც სუსტი შიდა კონტროლის პირობებში, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან განკარგვას და ზრდის ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს.

სამართალი

№20 10 ივლისი 2024 წ

ცოლმა ქმრის საყვარელი მოკლა

მკვლელი ქალის სკანდალური აღიარებითი ჩვენება

ბათო ჯაფარიძე

ოჯახური ძალადობის შესახებ უკვე პატარა ბავშვებმაც კი იციან. ყველაფერი ეს, იმდენად მომრავლდა თუ ყოველდღიურობად იქცა, რომ არავის უკვირს. არადა, თითქოს ადრე ასე არ იყო, ან იყო და ვერ თუ არ ამბობდნენ, არ ახმაურებდნენ. ისე, მგონია, რომ სოციალური პრობლემებია ძალადობების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. უფულოდ და უპერსპექტივოდ მყოფი ადამიანები ნერვების გაკონტროლებას ვეღარ ახერხებენ და შემდეგ იწყება პროცესი, რომელიც ყოველთვის ცუდად სრულდება. ისე, ურიგო არ იქნება, თუ იმ ადამიანებს, რომლებიც ბავშვებზე, ქალებზე ძალადობენ, რამე ამომცნობი ნიშანი ექნებათ, მაგალთად, იძულებით მკლავზე, ან კოჭთან, სპეციალური შეფერილობის ლენტის ტარება და თუ ამას არ გააკეთებენ, 30 დღით ციხეში ყოფნა. სისასტიკეა? არა, ბატონებო, მოძალადე უკუდო ამპარტავნები ვერ შეეგუებიან, რომ მათი ძალადობის შესახებ სხვამაც გაიგოს, რომ ქუჩაში იცნონ და რაც მთავარია, ისინი ქალებთან არიან დიდ გულზე, მათთან, რომლებიც სუსტები არიან, რომლებსაც ერევიან, თორემ ისე, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ლაჩრები და ქვეშაფსიები გახლავან.

80-იანი წლების გარიჟრაჟზე, მაშინ, როცა თითქოს კომუნისტურმა რეჟიმმა მარწუხებს მოუშვა, მოსახლეობამ უფრო მეტად გაიხედა დასავლეთისკენ და სწორედ მაშინ დაიწყო, არცთუ მცირე რაოდენობით, უცხოური ფილმების შემოსვლა, რომელთაც ასევე ჩუმად, „სპეკულიანტებთან“ ნაყიდ ვიდეომაგნიტოფონში უყურებდნენ და საბჭოთა ხელისუფლება ამას ებრძოდა. ებრძოდა ერთადერთი მიზეზით – დასავლურ ფილებში ძალიან ბევრი ძალადობაა და მოსახლეობაც ამისკენ მიდრეკილი გახდებაო.

ჰოდა, სწორედ იმ პერიოდში, მილიციის განყოფილებაში 15 წლის ბიჭი მივიდა, განცხადების დაწერა მინდა, მგონი, დედაჩემი მამაჩემმა მოკლაო. ოჯახის წევრისგან ასეთი რამის თქმა მოულოდნელი იყო, მაგრამ თქმას ვინ ჩივის, ბიჭი იძახდა, პასტა და ფურცელი მომეცით, ოფიციალური განცხადება უნდა შემოვიტანოო.

„დედა და მამა ხშირად კამათობდნენ, ბოლოს კი, მამა დედას ხელითაც შეეხო. პირველად ეს, დაახლოებით, ექვსი თვის წინ მოხდა, მერე კი, სისტემატიური ხასიათი მიიღო. დედას ეჭვი ჰქონდა, რომ მამას საყვარელი ჰყავდა, მამა უარყოფდა, ნერვებს მიშლიო, ამბობდა და როცა დედის საყვედურებს ვერ უძლებდა, უბრალოდ, სცემდა. ახლაც, მამამ გამოაცხადა, სამსახურიდან სხვა ქალაქში მივლინებით მივდივარო და წავიდა, ერთ საათში კი, დედამ თქვა, ვიცი, სადაც წაეთრა, თავზე უნდა დავადგეო და ისიც წავიდა. კიდევ ერთი საათის შემდეგ, მამა სახლში დაბრუნდა, დედა კი, აგერ, უკვე მეორე დღეა, არ გამოჩენილა. მამა ამბობს, მივლინება გადამედოო, დედა კი არ ჩანს და არ მჯერა, რომ მივლინება გადაიდო. მგონია, რომ მამამ დედა მოკლა და სადღაც გადააგდო. ახლა, მე და ჩემს 7 წლის დას, ბებო გვივლის, რომელიც მამამ სოფლიდან ჩამოიყვანა, მაგრამ მე დედა მინდა და თუ ის მართლაც მამაჩემმა მოკლა, მკაცრად უნდა დაისაჯოს“, – თქვა ბიჭმა და რაღა თქმა უნდა, მას განცხადება ოფიციალურად დააწერინეს.

პირველ რიგში, სამართალდამცავებმა მამაკაცის დაკითხვა გადაწყვიტეს და მას სახლში მიაკითხეს. ძალოვნების გამოჩენამ კაცი, ცოტა არ იყოს, შეაკრთო, მაგრამ როცა უთხრეს, რომ მასზე განცხადება შვილმა შეიტანა, თავი გადაიქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა – „სულელი“.

„ჰო, მყავს მეგობარი ქალი, რომელთანაც თავს კარგად ვგრძნობ, ისიც ბედნიერია ჩემთან ყოფნით და გვაქვს ის ურთიერთობა, რომელიც გვაქვს. არც მე ვაპირებ ცოლთან დაშორებას და არც ის მეუბნება, გინდა თუ არა, გაეყარე და დაშორდიო. ჩემი ცოლი კი, ყველაფერ ამისგან ტრაგედიას ქმნის და ბოლო დროს, კონფლიქტი ხშირად გვქონდა. მივლინების ამბავიც იმიტომ მოვიფიქრე, რომ ცოტა დასვენება და ნერვების განიავება მინდოდა. ჩემს საყვარელთან უნდა ვყოფილიყავი, არ უნდა გამოვსულიყავი ბინიდან და ამიტომ ბაზარში წავედი, ბევრი რამ ვიყიდე და ტაქსით მისი ბინისკენ რომ დავიძარი, დავინახე, სადარბაზოსთან ჩემი ცოლი იდგა. მივხვდი, მე მყარაულობდა, ამიტომ, დიდხანს არ მიფიქრია და იქაურობა დავტოვე, სახლში დავბრუნდი იმის იმედად, რომ ცოლს ვეტყოდი, მივლინება გადაიდო-თქო და თან კოზირიც ხელში მექნებოდა, საყვარელი არ მყავს-თქო. პროდუქტები მოვიტანე, საჭმლის კეთება დავიწყე, სამსახურიდან ერთკვირიანი შვებულება მაქვს აღებული და მინდოდა, ცოლისთვის მეთქვა, აგერ, შენი გულისთვის რას არ ვაკეთებ-მეთქი, მაგრამ ის არ გამოჩნდა. მეორე დღეს, დილით, საყვარელთან გავედი, მაგრამ კარი არავინ გამიღო, ისევ შინ დავბრუნდი და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამ დროს კიდევ, ბიჭი ამიტყდა, გინდა თუ არა, დედა მოკალი და დამარხეო. არ მეგონა, მილიციაში თუ მოვიდოდა, მართლა არ მეგონა. ცოლს თუ იპოვით, კარგი იქნება და არც ის იქნება ცუდი, თუ ცოლთან ერთად, საყვარელსაც მონახავთ. მართლა აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, ცოლი და საყვარელი ერთად გაქრნენ“, – ამობდა მამაკაცი, მაგრამ სამართალდამცავებს რაღაც არ მოეწონათ და ის ყოველი შემთხვევისთვის, 48 საათით დააკავეს. უფრო ზუსტად კი, გამომძიებლებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ცოლიც და საყვარელიც მან გააქრო, ამის მტკიცებულებებს მალე იპოვიდნენ და კაცისთვის მერე რომ არ ედევნათ, „საქმე წინ წაიგდეს“.

პირველ რიგში, სამართალდამცავები საყვარლის ბინაში წავიდნენ, რომელიც დაკეტილი დახვდათ, თუმცა არ დაიბნენ, პროკურორს ჩხრეკის ორდერი გამოართვეს და სამი მეზობლის თანდასწრებით, ბინის კარი შეამტვრიეს. პრინციპში, შეამტვრიეს ხმამაღალი ნათქვამია, შესაბამისმა სპეციალისტმა „ატმიჩკებით“ მარტივად გახსნა. ბინის ჩხრეკის გარდა, მუშაობა ექსპერტებმაც დაიწყეს და ძალიან მალე, ერთ-ერთმა დამაჯერებელი ტონით თქვა – „სამზარეულოში, კაფელის გადაბმის ადგილებს შორის, სისხლის კვალია. ვიღაცამ საგულდაგულოდ კი იმუშავა მის წასაშლელად, მაგრამ სპეციალური ხსნარის გარეშე, ამის გაკეთება შეუძლებელია. არსებობს შანსი, რომ სამზარეულოში ქათმის ან საქონლის ხორცის სისხლი იყოს, მაგრამ მეეჭვება, რომელიმეს კაფელზე ამუშავებდნენ“.

ბინაში სხვა საინტერესო ვერაფერი ნახეს, მეზობლები გამოჰკითხეს და ვერც მათ გაიხსენეს რამე ისეთი, რაც ეჭვის საუძველი იქნებოდა, მხოლოდ ერთმა თქვა, მგონი, ჩვენი მეზობელი, ორი დღის წინ, გვიან ღამით წავიდა, რადგან როცა მისი კარი იკეტება, უცნაურ ხმას გამოსცემს და ეს ხმა ნამდვილად გავიგონეო.

ორივე ქალზე ძებნა გამოცხადდა და როგორც გაირკვა, არცერთი მათგანი სამსახურშიც არ გამოცხადებულა, არავინ იცოდა, სად იყვნენ. ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი იყო, რომ ორივე ერთად სადმე გამგზავრებულიყო. ამასობაში, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბინაში, კაფელის ჭრილებს შორის აღმოჩენილი სისხლი ადამინის იყო და რაც მთავარია, მალე ისიც გაირკვა, რომ სისხლის ჯგუფი სახლის პატრონისას ემთხვეოდა. სამედიცინო ისტორიის შესწავლის შემდეგ, გამომძიებლები დარწმუნდნენ, რომ სისხლი სწორედ მამაკაცის საყვარელს ეკუთვნოდა და...

„ბოლო დროს, ჩემი ცოლი ისეთი იმპულსური გახდა, არ გამოვრიცხავ, ცხელ გულზე, ჩემი საყვარელი მოკლა და სადმე დამარხა. ჰო, დამარხა, რადგან მას არაერთხელ უთქვამს, შენს საყვარლებს სათითაოდ გავუთხრი საფლავსო“, – განაცხადა მამაკაცმა, მაგრამ ისიც დააყოლა, წარმოდგენა არ მაქვს, სად შეიძლება იმალებოდესო. ამასობაში, სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ მამაკაცის კანონიერ მეუღლეს უახლოესი მეგობარი ჰყავდა და მისგან აგარაკის გასაღები ინათხოვრა, თან კატეგორიულად გააფრთხილა, არავის უთხრაო, მაგრამ როცა საქმე სავარაუდო მკვლელობას ეხება, ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს და არავის სურს, თანამზრახველი გახდეს. ამიტომ, მან დაქალი მარტივად ჩაუშვა და ძალოვნებმაც ის სწორედ აგარაკზე დააკავეს. მიდამოს დათვალიერების შემდეგ, ახალი მიწაყრილიც ნახეს, სადაც მამაკაცის საყვარლის გვამი გახლდათ დამარხული.

„ყველაფერი შემთხვევით მოხდა. დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ქმარი მივლინებაში არ მიდიოდა, რადგან სამსახურში გადავამოწმე და მითხრეს, რა მივლინება, შვებულება დაწერაო. მისი საყვარლის სახლთან ველოდებოდი, მაგრამ რომ არ გამოჩნდა, ავედი და საქმის გარჩევა მასთან დავიწყე. მივხვდი, ის ჩემს ქმარს ელოდა, რადგან შილიფად ეცვა, საძინებელში გაუხსნელი „შამპანური“ და ორი ჭიქა იდო. სამზარეულოში გავედით სასაუბროდ, ხელი ვკარი, კაფელზე ფეხი აუცურდა, კეფა დაარტყა და სისხლმა გაასხა. სისხლი იმდენად დიდი ოდენობით მოდიოდა, რომ მივხვდი, გადარჩენის შანსი არ იყო. შემეშინდა, არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, მერე კი... მერე სისხლი მოვწმინდე, გვამი ჯერ ცელოფნის ტომარაში ჩავდე, შემდეგ საძილე ტომარა ვიშოვე... ჯანი არ მაკლია, სადარბაზოში მე ჩავიტანე, ტაქსიც მე მოვიყვანე, დაქალს გავუარე, გასაღები გამოვართვი და ახლა მხოლოდ იმას ვფიქრობდი, როგორ და რანაირად გამეგრძელებინა ცხოვრება“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ განზრახ მკვლელობა ვერ დაადგინა, მაგრამ მიმალვისა და გვამის დამარხვის გამო, დაკავებულს თავისუფლების აღკვეთა 9 წლით მიუსაჯა.

რატომ მოიტაცა მეზობლის შვილი გაუთხოვარმა ქალმა

მდიდარი კაცის ოჯახური დრამის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ადრე, სკვერში მოთამაშე ბავშვებს დედები თვალს არ აშორებდნენ იმიტომ, რომ არც მობილური ტელეფონები იყო, არც – პლანშეტები და ყველაზე დიდი, სკვერში წიგნი ან გაზეთი შეიძლებოდა წაეღოთ გასართობად. გაზეთიდან და წიგნიდან კი თვალის მოწყვეტა ბევრად ადვილია, ვიდრე – ტელეფონიდან და ამიტომ, ბავშვები ბევრად დაცულები იყვნენ. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა ასეთ სკვერში, ერთმა ახალგაზრდა ქალმა ყვირილი ატეხა,საბავშვო ეტლიდან ბავშვი მომპარესო. რა თქმა უნდა, ყველა თავის ბავშვს ეცა, დარწმუნდნენ, რომ მათ შვილებს არაფერი სჭირდათ და ყველამ ერთად დაიწყო ბავშვის ძებნა, თან არც მილიციაში დარეკვა დაავიწყდათ.

სამართალდამცავები მალე მოვიდნენ, ქალი კი კიოდა, ჩემი შვილი იპოვეთ და რაც მთავარია, ქმარს არაფერი უთხრათ, შეიძლება, გული გაუსკდესო. რა თქმა უნდა, ქმარი მალე იპოვეს და ისიც სკვერში მივიდა, ცოლს მკაცრად გახედა, შემდეგ კი ძალოვნებს საქმიანი სახით მიუახლოვდა და – „მე ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი ვარ, ვინც ჩემს შვილს იპოვის, 2 ათას მანეთს მივცემ. გთხოვთ, ძალ-ღონე არ დაიშუროთ“. ოპერმუშაკები ისედაც არ აკლებდნენ ცდას (ბავშვის დაკარგვა უმძიმეს შემთხვევად ფასდებოდა) და 2 ათასი მანეთი მაშინ ძალიან, ძალიან დიდი ფული იყო, არანორმალურად დიდი იმისთვის, რომ ვინმეს ერთ დღეში ეშოვნა.

ამასობაში, დაკარგული ბავშვის მამას დედა მიუახლოვდა და ყველას გასაგონად მიახალა, ეს სულ შენი შვილის ბრალია, ისიც აქ იყო, ახლა კი, უბრალოდ, გაქრა და არ გამოვრიცხავ, ჩემი შვილი მან წაიყვანა და სადმე გადააგდოო. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს, საქმე ძალიან იხლართებოდა, კაცმა კი ხელი აიქნია, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ბავშვი იმ დღეს ვერ იპოვეს, რაც მისი პოვნის შანსებს მთელი 70%-ით ამცირებდა. ერთი ეგ იყო, ძალოვნებს ეჩვენებოდათ, რომ დედაზე მეტად, ბავშვის მამა ნერვიულობდა და ძალოვნები ვერც მეორე ბავშვს ნახულობდნენ, იმას, ვისზეც დაკარგული ბავშვის დედა ამბობდა, შვილს ეგ მომპარავდაო.

„ეს ჩემი მეორე ცოლია, პირველი სიმსივნით დამეღუპა და შესაბამისად, პირველი ქორწინებიდან შვილი მყავს. ისიც ბიჭია, ეს მეორეც ბიჭია და დედინაცვალმა რატომღაც შეიძულა ჩემი შვილი. პატარა რომ არ დაბადებულიყო, სახლიდან გავაგდებდი, მაგრამ ბავშვებზე ჭკუა მეკეტება და სწორედ იმ პატარის გამო ვიტან ამ ალქაჯს, თორემ დიდი ხანია, ქალად ვეღარ აღვიქვამ, ისე ექცევა უფროს ბიჭს. ახლა იმაზეც ვნერვიულობ, როცა პატარა დაიკარგა, ამან კივილი ატეხა და ჩემი უფროსი შვილის სახელს ყვიროდა, თურმე. იმას ალბათ, შეეშინდა და დაიმალა. 10 წლისაა, უნდა ვიპოვო“, – ადგილს ვერ ნახულობდა კაცი, თუმცა სამართალდამცავებმა ივარგეს და მისი თანაკლასელი გოგონას დახმარებით, ბიჭუნას მეორე კორპუსის სხვენზე მიაგნეს, სადაც მცირე ზომის „შტაბი“ იყო მოწყობილი.

„მე ბავშვს როგორ მოვიპარავდი, ან რად მინდოდა? რამდენჯერმე გავხედე ეტლს, ვიღაც მოხუცი, თავსაფრიანი ქალი უტრიალებდა გარშემო და მერე, როცა კივილი ატყდა, აღარც ქალი ჩანდა და აღარც – ბავშვი. როცა ჩემი სახელი გავიგონე, მივხვდი, დედინააცვალი გამლახავდა და გავიქეცი“, – თქვა ბავშვმა.

სხვათა შორის, მოხუცი თავსაფრიანი ქალი სხვებმაც შეამჩნიეს და თქვეს კიდეც, საეჭვოდ იქცეოდა, შემდეგ კი, ასევე საეჭვოდ, გაუჩინარდა და როცა ბავშვი გაქრა, ისიც აღარ დაგვინახავსო. ქალის გარეგნობის აღწერილობა ძალოვნებს დიდ იმედს ვერ აძლევდა, რადგან ქალის სახე არავის დაუნახავს, თავსაფარი ნიკაპს ზემოთ ჰქონდა შეკრულიო.

გადაწყდა, რომ ოპერმუშაკებს თვალი დედ-მამისთვის და... ყოველი შემთხვევისთვის, ბავშვისთვისაც ედევნებინათ. ოჯახური ამბავი იმის საფუძველს იძლეოდა, რომ ისინი რაღაცას მალავდნენ და შესაძლოა, ბავშვი რომელიმე მხარემ გამოიყენა. თანაც, ბავშვის დედამ რამდენჯერმე გაიმეორა, ნეტავ, გამოსასყიდისთვის რატომ არ რეკავენო ანუ ის თითქოს დარწმუნებული იყო, რომ პატარა სწორედ გამოსასყიდის მიღების მიზნით მოიტაცეს.

მამის და ბავშვის თვალთვალმა შედეგი ვერ მოიტანა, აი, ბავშვის დედა კი, ვიღაც ახალგაზრდა კაცს შეხვდა. ოპერმუშაკი იმდენად ახლოს დადგა, რომ მათი საუბარი გაეგონა.

„ბავშვი როგორ არის? რატომ არ დარეკე? წამოდი, მანახე, საჭმელი ხომ მიეცი, რომ დაგიტოვე, ის უნდა ჭამოს, პატარაა“, – მიაყარა ქალმა და მამაკაცმა გაოცებულმა შეხედა, რა ბავშვი, შენ გგონია, მართლა მე მოვიტაცებდი ბავშვს და შენს ქმარს გამოსასყიდს მოვთხოვდიო? დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ოპერმა კოლეგებს ნიშანი მისცა და ქალიც და მამაკაციც გაწყოფილებაში მიიყვანეს.

„ეს ქალი გადარეულია. მასთან ურთიერთობა, დაახლოებით, 4-5 წლის წინ დავიწყე. მერე მითხრა, შენგან ორსულად ვარო, ბავშვი გააჩინა, მერე შემიჩნდა, ბავშვი უნდა მოვიტაცოთ, ჩემს ქმარს გამოსასყიდი გამოვართვათ, ასე, 40-50 ათასი მანეთი და მერე დავშორდები, შენთან გადმოვალ საცხოვრებლად და ყველაფერი კარგად იქნებაო. რამდენიმე დღის წინ, ბოთლებით რძე მოიტანა, ზოგი მაცივარში შეინახა, ზოგი – კარადაში. მერე მითხრა, ამა და ამ დროს, სკვერში ვიქნები, ბავშვი მოიპარე, მერე მე ყვირილს ავტეხ, მერე ქმარს დაურეკე ქუჩის აპარატიდან და მე ვაიძულებ, რომ ფული გადაიხადოსო. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არასერიოზულად მივიღე, არც ბავშვი მომიპარავს, არც ფულის გამორთმევას ვაპირებდი და რაც მთავარია, არც ეს გოგო მინდა ცოლად. არც იმის მჯერა, რომ ბავშვი ჩემია. მე დანაშაული არ მიმიძღვის არაფერში და ამიტომ, გთხოვთ, გამათავისუფლოთ“, – განაცხადა მამაკაცმა და მისი სიტყვები ქალმაც დაადასტურა.

გამოდიოდა, რომ ვიღაცამ ამ ისტორიის შესახებ კიდევ იცოდა და ყველაფერი სათავისოდ გამოიყენა, მაგრამ ვინ? ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ დაკარგული ბავშვის მამამ განაცხადა, ეჭვი გამიჩნდა, რომ ცოლი მღალატობდა, ამიტომ ბავშვის ანალიზი ჩემსას შევადარე, ჩემი შვილი არ არის, მაგრამ სიგიჟემდე მიყვარს და მაგ ბავშვს მაინც მე გავზრდიო. ეს ცალკე სიგიჟე იყო.

სამართალდამცავებმა მეზობლების გამოკითხვა დაიწყეს და ქალმა, რომელიც მათ ზემოთ ცხოვრობდა, განაცხადა, ეს კაცი ბევრად მეტს იმსახურებს, ძალიან კარგი ცოლი ჰყავდა, ჩემი უახლოესი მეგობარი, მაგრამ გარდაიცვალა, მერე ეს კახპა მოიყვანა და ველარ იშორებდაო. ქალი იმასაც ამბობდა, ბავშვს ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ფული გამოერთმია ქმრისთვის და შემდეგ ეს ფული ათას სისულელეში დაეხარჯაო. გამოძიებას ვერსიები ამოეწურა, წარმოდგენა არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა ბავშვი მოენახა და მეზობლებს კიდევ ერთხელ ჩამოუარა. ამჯერად, ის აინტერესებდათ, ხომ არ შენიშნეს ვინმე ისეთი, ვინც მანამდე არ ენახათ, რომელიც ეზოში საეჭვოდ ტრიალებდა, ან ზოგადად, ხომ არ ნახეს რამე უცნაური, რამაც მათი ყურადღება მიიპრო. უცხო ვერავინ გაიხსენა, აი, უცნაური კი...

„ჩვენი მეზობელი ქალი რომ არის, აი, გატაცებული ბავშვის ოჯახის ზემოთ რომ ცხოვრობს, ეგ არასდროს ყოფილა გათხოვილი, არც ქმარი, არც შვილი... ჰოდა, ერთი კვირის წინ, ბავშვის ტანსაცმელი იყიდა, საწოვარა, ბოთლი... შემთხვევით დავინახე, მაგრამ არაფერი მიკითხავს, ან რა უნდა მეკითხა, ადამიანია და გუნება“, – თქვა ერთ-ერთმა მეზობელმა.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე კი, ქალზე აზრი ბავშვის მამას ჰკითხეს.

„შეგრძნება მაქვს, რომ მთელი ცხოვრება ჩემზე ზრუნვას ცდილობს. პირველ ცოლთან მეგობრობდა, სულ ჩვენთან იყო, მაგრამ არასდროს არაფერი მიუნიშნებია. მეუღლე რომ დამეღუპა, მერე მართლა გვივლიდა მეც და ჩემს შვილსაც, მეორე ცოლი რომ მოვიყვანე, ცოტა ხნით დაიკარგა. არ არის ცუდი ქალი, მაგრამ ცოლად, ალბათ, არასდროს მოვიყვანდი ასეთს, არ მიყვარს ზედმეტად მზრუნველი ქალები“, – თქვა კაცმა.

გამომძიებელმა პროკურორს მეზობელი ქალის ბინის ჩხრეკის უფლება ძლივს გამოსტყუა და... ბავშვი სწორედ იმ ბინაში იპოვეს. ყველა შოკში იყო, მაგრამ ქალს თავის სიმართლე ჰქონდა.

„ჰო, ეს კაცი მთელი ცხოვრება მიყვარს, როცა ცოლად ჩემი მეგობარი ჰყავდა, ბედს შევეგუე და გადავწყვიტე, რომ არასდროს გავთხოვდებოდი. მერე, როცა ჩემი მეგობარი გარდაიცვალა, მეგონა, რომ ჩემი რიგი მოვიდოდა, მაგრამ არ გამოვიდა და ეს ქალი მოიყვანა, რომელსაც არც ქმარი უყვარს, არც შვილები. ამიტომ მოვიპარე ბავშვი, რომ დედობა ეგრძნო, მერე აუცილებლად დავუბრუნებდი, მაგრამ მას არც შვილის დაკარგვა უდარდია“, – განაცხადა ქალმა, რომელსაც სასამართლომ (მეზობელი კაცის ჩარევის შემდეგ), მხოლოდ 3 წლით პირობითი მსჯავრი განუსაზღვრა.

ბათო ჯაფარიძე

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა ყოველთვის იყო, არის და იქნება განხილვის საგანი. ბევრს ჰგონია, რომ მასწავლებელი მკაცრი უნდა იყოს, ბევრი ფიქრობს, რომ პირიქით, მასწავლებელი ლმობიერი უნდა იყოს და ყველა მოსწავლესთან შეეძლოს საერთო ენის გამონახვა, რაც ძალიან რთულია. 25 და 30 მოსწავლე კი არა, ხშირად, შვილებთან ჭირს საერთო ენის გამონახვა და ის, რომ მასწავლებელმა ყველას თავი მოაწონოს, ყველას ნდობა დაიმსახუროს, ცალკე ხელოვნებაა...

რა მოტივით დაგეგმა სკოლის მოსწავლემ თანაკლასელის მკვლელობა

როგორ გავიდა გამოძიება ეჭვმიტანილი მასწავლებლიდან რეალურ დამნაშავეზე

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა, როცა ერთ-ერთმა მოსწავლემ თავის მოკვლა სცადა და დატოვა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ თავს... მასწავლებლის გამო იკლავდა. თან, არა უბრალოდ მასწავლებლის, არამედ – დამრიგებლის. რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და სანამ ერთი გამომძიებელი უშუალოდ მასწავლებელს ჰკითხავდა, მეორე გამომძიებელი სკოლაში იყო მისული და როგორც მოსწავლეებს, ისე ეჭვმიტანილის კოლეგებს ესაუბრებოდა. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მოსწავლე სკოლის გვერდით სკვერში ნახეს, იქვე, მოშორებით, ლიმონათის ბოთლი ეგდო, რომელშიც დიდი ოდენობით საწამლავი იყო გარეული და მოსწავლეც სწორედ ამ საწამლავით იყო მოწამლული. წერილი კი, მის ჯიბეში იყო და ყველაფერი გარკვევით ეწერა. ექსპერტიზას უკვე დამტკიცებული ჰქონდა, რომ წერილი თავად მოსწავლემ დაწერა, კალიგრაფია 100%-ით ემთხვეოდა, მაგრამ იგივე ექსპერტი თვითმკვლელობის ვერსიას ეჭვის თვალით უყურებდა და მის აზრს გამომძიებელიც იზიარებდა, თუმცა ამაზე ხამამაღლა არ საუბრობდნენ.

„ექსპერტიზის დასკვნით, დაზარალებულის ორგანიზმში იმდენი საწამლავი იყო, ის მომენტალურად გაითიშებოდა. ლიმონათის ბოთლი კი, მისგან დაახლოებით 15 მეტრში ეგდო ანუ მან ჯერ დალია, ბოთლი დააგდო, მერე წავიდა და გაითიშა, ეს არის ლოგიკა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ იმ დღეს ნაწვიმარი იყო, სკვერში კი ახლადდაყრილი მიწაა. ჰოდა, იმ ადგილამდე, სადაც ის ბიჭი იპოვეს, მხოლოდ ერთი ნაფეხური მიდის და ისიც რეზინის ჩექმების. ექსპერტი ამტკიცებს, სწორედ ამ რეზინის ჩექმიებიანმა ადამიანმა მიიყვანა გათიშული ბიჭი და ბოთლი ან დარჩა, ან რაღაცამ ხელი შეუშალა. შესაბამისად, გვგგონია, რომ ეს სუიციდის კი არა, მკვლელობის მცდელობა იყო, რომელიც იმედია, არ განხორციელდება, რადგან დაზარალებული ჯერაც უმძიმეს მდგომარეობაშია და ექიმები ზუსტად ვერ ამბობენ, გადარჩება თუ არა. საუკეთესო შემთხვევაში, თუ გადარჩება, ორგანიზმი საწამლავისგან იმ დონეზე მაინც რომ გაიწმინდოს, რომ მას საუბარი შეეძლოს, ერთი თვე იქნება საჭირო“, – გამომძიებელი სამმართველოს უფროსს ესაუბრებოდა.

საინტერესო ის გახლდათ, რომ დაზარალებულის თანაკლასელებმა დაადასტურეს, მასწავლებელი ბიჭს მუდმივად ეჩხუბებოდა, სულ საყვედურობდა, რაც უნდა მომზადებული ყოფილიყო, მიზეზს მაინც მონახავდა, ბიჭი რომ გაეკრიტიკებინა და ამის გამო, მას არასრულფასოვნების კომპლექსიც ჩამოუყალიბდა. მასწავლებელმა აღიარა, ასე ვიქცეოდი, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მას მეტი პასუხისმგებლობა ეგრძნო და უფრო მეტი ესწავლა, ჩემი ახალი მეთოდი და მიდგომაა. რეალურად, ეს მიდგომა და მეთოდი რომ არ ამართლებდა, მთელი სკოლა საუბრობდა, მაგრამ მასწავლებელი მაინც ჯიუტობდა და თან იმას ამტკიცებდა, ამის გულისთვის, თავს არავინ იკლავსო და... ეგებ, მართალიც იყო.

„მე მისი შეყვარებული ვარ. გადაწყვეტილი გვქონდა, სად უნდა ჩაგვებარებინა სკოლის შემდეგ, რა უნდა გვექნა, როდის უნდა დავქორწინებულიყავით ანუ ყველაფერი გათვლილი და დათვლილი იყო. სანამ შემთხვევა მოხდებოდა, ერთი საათით ადრე შევხვდი, არაფერი ეტყობოდა, რომ თვითმკვლელობას გეგმავდა. მეგობრებთან ერთად აპირებდა სკვერში წასვლას, ის ბიჭებიც ჩვენი თანაკლასელები არიან და რომ ვკითხე, მათ თქვეს, გადავიფიქრეთ, საქმე გამოგვიჩნდაო. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ის თავს არ მოიკლავდა“, – გამომძიებლებთან დაზარალებულის თანაკლასელი და როგორც გაირკვა, შეყვარებული მივიდა.

სამართალდამცავებმა მეგობრების დაკითხვა გადაწყვიტეს, რადგან ეს საქმეში ახალი გარემოება იყო. მეგობრებმა მხრები აიჩეჩეს, აქაოდა, ჩვენ წასვლას კი ვაპირებდით, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრეთ, სავარჯიშოდ წასვლა გადავწყვიტეთ და ჩვენ რომ მოგვადექით, იქნებ, ბიძამისი დაკითხოთ, ყველაზე მეტი ინტერესი, რომ ჩვენი მეგობარი მომკვდარიყო, სწორედ ბიძამისს ჰქონდაო. როგორც მეგობრები ამბობდნენ, რადგან ბიჭი ობოლი იყო, მას ბიძა ზრდიდა, დედ-მამის სამოთახიანი ბინა გაქირავებული იყო, მაგრამ თუ ბიჭი მოკვდებოდა, ბინა სწორედ ბიძას დარჩებოდა. ჰოდა, მეგობრები იმასაც ამბობენ, ბიძამისი იმ სკვერში ხშირად დადის, „საბუტილნიკები“ ჰყავს, გალოთებულიაო. ძალოვნებმა კი იცოდნენ ბიძის არსებობის შესახებ, მაგრამ ის კი არ იფიქრეს, რომ მოტივი, შესაძლოა, მასაც ჰქონოდა. ამიტომ, მის დასაკითხად სახლში წავიდნენ, მაგრამ ბიძა იქ არ დახვდათ, მეზობლებმა თქვეს, რაც ბიჭი მოიწამლა, იმის შემდეგ, საავადმყოფოში ათენებს და აღამებსო. სამართალდამცავებმაც გეზი საავადმყოფოსკენ აიღეს.

„ეგ როგორ იფიქრეთ? ჩემი ერთადერთი ძმისშვილი... მე ცოლ-შვილი არ მყავს, მზე და მთვარე ამ ბიჭზე ამომდის, ეს არის ჩემი ერთადერთი იმედი. ჰო, ცოტა დალევა მიყვარს და სწორედ ამის გამო, მერე რომ საბუთებზე არ ერბინა, ჩემი ბინაც კი მას გადავუფორმე, ქირაში აღებულ თანხას საბანკო ანგარიშზე ვუნახავ, სრულწლოვანი რომ გახდება, ფული რომ ჰქონდეს, მათხოვარი რომ არ იყოს. ეს როგორ მაკადრეთ“, – ბიძა ბოლო ხმაზე ყვიროდა და იმდენად გულწრფელი იყო, ძალოვნები მიხვდნენ, რომ არასწორი მიმართულებით ეძებდნენ.

„ერთადერთი გამოსავალი დარჩა – უნდა ვთქვათ, რომ ბიჭი მოკვდა და დაველოდოთ, ეგებ, მერე გამოჩნდეს ის, ვისაც მოტივი ჰქონდა“, – თქვა გამომძიებელმა და სამმართველოს უფროსიც დაეთანხმა. ექიმები უმკაცრესად გააფრთხილეს, ბიძასაც კი არაფერი უთხრეს, სიმთვრალეში რომ არ წამოსცდენოდა და თქვეს, რომ ბიჭი მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა და გარდაიცვალა. ორი ოპერმუშაკი ბიძას უთვალთვალებდა, ეჭვი ჰქონდათ, შეიძლება, დათვრეს და თავს რამე აუტეხოსო. ბიძა სახლში დაბრუნდა და გზად მეზობლებს გადაეხვია, დაემშვიდობა და ძალოვნები მიხვდნენ, რომ საქმე მარტივად არ იყო, ამიტომ კიბეზე აჰყვნენ და როცა სახლში შევიდა, შეჰყვნენ კიდეც. ოპერმუშაკების ყურადღება, ფეხსაცმელების თაროს გვერდით მიგდებულმა რეზინის ბოტებმა მიიპყრო. პირველი, რაც მათ იფიქრეს, ის გახლდათ, რომ სწორედ ეს ფეხსაცმელი იყო, რომლის კვალიც შემთხვევის ადგილზე ნახეს. ამიტომ, ერთი ოპერი დაზარალებულის ბიძასთან დარჩა, მეორემ – ბოტები ექსპერტიზაზე წაიღო და ერთ საათში უკვე იცოდნენ, რომ ბოტების ძირზე არსებული ტალახი ერთი-ერთში ემთხვეოდა შემთხვევის ადგილზე არსებულს. ბიძა დააკავეს, წინ ბოტები დაუდეს და...

„კი, ჩემი ბოტებია, მაგრამ თქვენ სად ნახეთ, მეც აღარ მახსოვდა მათი არსებობა. ბოლოს, ალბათ, რამდენიმე წლის წინ მეცვა და წარმოდგენა არ მაქვს, ვის დასჭირდა, რატომ დასჭირდა?! რაღაც ხდება და ვერ ვხვდები, რა, იქნებ, თქვენ გაარკვიოთ“, -ამბობდა ბიძა, მაგრამ ძალოვნებს მისი სიტყვების უკვე აღარ სჯეროდათ, თუმცა...

„ოფლის ნაწილაკების ნიმუში, რომელიც ბოტებშია ჩარჩენილი, არ ემთხვევა ბიძის ნიმუშს ანუ ეს ბოტები მას აშკარად არ სცმია“, – თქვა ექსპერტმა და გამოძიება ისევ ჩიხში შევიდა. სწორედ მაშინ, როცა იმედი თითქოს არსაიდან ჩანდა, გამომძიებლებთან დაზარალებულის შეყვარებული მივიდა.

„ჩემი შეყვარებულის მეგობრები იყვნენ მოსული, ერთ-ერთი მათგანი სიყვარულს მეფიცება, მეორემ კი ჩუმად მითხრა, ის წერილი, სადაც ბრალს მასწავლებელს დებს, მე დავაწერინე ხუმრობით და მერე მეორე მეგობარმა გამომართვაო“, – თქვა გოგონამ. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და მეგობრები დაკითხვაზე ცალ-ცალკე ოთახებში შეიყვანეს.

„მე ვაღიარებ, რომ წერილი მეგობარს დავაწერინე ხუმრობით, მერე მეორე მეეგობარმა გამომართვა, მაგრამ როგორ აღმოჩნდა დაზარალებულის ჯიბეში, არ ვიცი“, – ასეთი იყო ერთ-ერთის პასუხი. მეორე კი... მეორე ხვდებოდა, რომ თავის დაძვრენა გაუჭირდებოდა, რადგან ექსპერტს უკვე დასკვნა მზად ჰქონდა, რეზინის ბოტები სწორედ მას ეცვა.

„ასე სიყვარულის გამო მოვიქეცი. ჰო, ის გოგო მიყვარს, რომელთანაც იმ შტერმა ყველაფერი დაგეგმა. რეალურად, მე უფრო ბედნიერს გავხდიდი, მაგრამ... ის წერილი რომ დაწერეს, გეგმა მერე მომივიდა თავში, ამიტომ ხუმრობით დაწერილი წერილი წავიღე, საწამლავი ვიშოვე, ბიძაზე ეჭვი რომ მიეტანათ, ბოტები მოვიპარე, მათი სახლის გასაღები, როგორც საუკეთესო მეგობარს, დიდი ხანია მაქვს, მაგრამ ბიძამ არ იცოდა. ლიმონათის ბოთლის მის გვერდით დადება კი იმიტომ ვერ მოვასწარი, რომ სკვერში ბევრი ხალხი შემოვიდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილს, როგორც არასრულწლოვანს, მხოლოდ 5 წელი მიუსაჯა და ისიც – პირობითი. ბიჭმა სკოლა, რაღა თქმა უნდა, შეიცვალა.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ივნისში, უაქციზო სიგარეტის უკანონოდ შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი გამოავლინეს

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ივნისში, უაქციზო სიგარეტის უკანონოდ შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი გამოავლინეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში 24 პირი მიეცა, მათგან კი დაკავებულია 10 პირი.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, 2024 წლის ივნისში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინეს მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი, რაზეც, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცა 24 პირი, მათგან დაკავებულია 10 პირი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში მხილებული პირებისგან, ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი სხვადასხვა დასახელების, ჯამში, 29 918 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 155 000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღიკვეთა

ბოლო ორი კვირის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში – „სარფი“, და „სადახლო-საავტომობილო“, მებაჟე ოფიცრების მიერ ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე, კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა: 375.91 გრამი) საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 56 344.29 ლარი შეადგინა.

„საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, 4 სამართალდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ჯამში, 27 524.2 ლარის ოდენობით განესაზღვრა, ხოლო კანონდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პროკურატურამ „გლოვოს“ კურიერის დაჭრის საქმეზე ერთ პირს ბრალდება დაუსწრებლად წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ თბილისში, „გლოვოს“ კურიერის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ტარების ფაქტებზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ განცხადებას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 6 ივლისს, თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებულს თანმხლებ ორ პირთან ერთად, საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებით შელაპარაკება მოუხდა დაზარალებულთან, რა დროსაც ფიზიკურად გაუსწორდა მას და ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაზიანებები მიაყენა.

მას ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გრძელდება გამოძიება ბრალდებულთან ერთად მყოფი პირების მიერ დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ე.წ. ქოლ-ცენტრის მეშვეობით, სხვისი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, პროკურატურამ ორ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ე.წ. ქოლ-ცენტრის მეშვეობით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა ე.წ. ქოლ-ცენტრი ჩამოაყალიბეს, რომლის ფუნქციონირებისთვის ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა შექმნეს. ბრალდებულები გამოგონილი სახელებით უკავშირდებოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, უქმნიდნენ მათ სანდო საინვესტიციო კომპანიის შთაბეჭდილებას და მოგების მიღების მიზნით, ფულადი თანხების ინვესტირებას სთავაზობდნენ, რასაც შემდგომ თაღლითურად ეუფლებოდნენ.

„გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ავსტრალიის მოქალაქის კუთვნილ 340 000 ლარზე მეტი ოდენობის თანხას თაღლითურად დაეუფლნენ.

ორივე დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლება) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, ამ ეტაპისთვის ორგანიზებული ჯგუფის 4 წევრია დაკავებული. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შესაძლო კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენის მიზნით“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მამარდაშვილი და „ბაიერნი“ რეალობა გახდა – ნოიერი ამერიკაში მიდის

ევროპის ჩემპიონატზე გასული 24 ნაკრების მეკარიდან, ყველაზე შთამბეჭდავად გიორგი მამარდაშვილმა იასპარეზა. ყველა თანხმდება, რომ საქართველოს ნაკრების კიპერს უფრო მეტი შეუძლია და მისი ასაკის გათვალისწინებით (23 წლის), ნებისმიერს, ვინც მას გადაიბრებს, ყველაზე ცოტა, 10 წელი შეუძლია, მეკარის პრობლემა მოგვარებულად ჩათვალოს. მას შემდეგ, რაც ქართველთათვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, გერმანელმა ჟურნალისტებმა მამარდაშვილს პირდაპირ ჰკითხეს, მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლაზე რას ფიქრობო? საქმე ის გახლავთ, რომ გუნდის ძირითადი მეკარე, მანუელ ნოიერი 38 წლის არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე ტიტულოვან გერმანულ გუნდს, ამ პოზიციაზე სერიოზული პრობლემა ექნება.

„სადაც არ უნდა წავიდე, რომელ გუნდშიც არ უნდა ვითამაშო, მხოლოდ პირველი ნომერი ვიქნები. სათადარიგოთა სკამზე ჯდომას, რა გუნდიც არ უნდა იყოს, უბრალოდ, არ ვაპირებ“, – განაცხადა მაშინ მამარდაშვილმა და ამით მიანიშნა, რომ ნოიერის დუბლიორად ყოფნის პერსპექტივა არ ხიბლავს.

ჰოდა, ახლა გაირკვა, რომ ნოიერი კარიერის გაგრძელებას ამერიკაში აპირებს. ოკეანის გაღმიდან, მის მიმართ ინტერესი დიდია და თუ ჰერ მანუელი აქამდე ამბობდა, არსად წასვლას არ ვაპირებო, ახლა გადაიფიქრა და დაადასტურა, რომ ახალ სეზონს ამერიკაში დაიწყებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რეკორდმაისტერი“ ახალი მეკარის ძიებაშია და უმთავრესი კანდიდატი სწორედ მამარდაშვილია. მოლაპარკებები, ჯერჯერობით, არ დაწყებულაა, მაგრამ როგორც ესპანური, ისე გერმანული მედია ვარაუდობს, რომ მიმდინარე თვის ბოლომდე, არათუ მოლაპარაკებები დაიწყება, არამედ, ტრანსფერიც განხორციელდება. თუ მამარდაშვილი „ბაიერნის“ მაისურს მოირგებს, ეს არა მარტო მისი, არამედ, ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატება იქნება.

არაბები სანიოლს გვართმევენ

ჯერ კიდევ, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, ირლანდიის საფეხბურთო კავშირმა ვილი სანიოლის მათი ნაკრების გაწვრთნა შესთავაზა, მაგრამ რა ძნელი მისახვედრია, რომ მუსიე ვილიმ უარი განაცხადა, რადგან როგორც ჩვენთვის, ისე მის სამწვრთნელო კარიერაში, ევროპირველობა სადებიუტო იყო. როგორ გამოვიდა საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, კარგად მოგეხსენებათ და რა გასაკვირია, რომ სანიოლის გადაბირება სხვებსაც მოუნდათ.

ფრანგ სპეციალისტს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს ეწურება და მის გაგრძელებაზე მოლაპარაკებების დაწყებაც მალე იგეგმება, მაგრამ მუსიე ვილიმ არაბული „ალ იტიჰადიდან“ შეთავაზება მიიღო. არაბებს სურთ, რომ ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი, სწორედ სანიოლმა გაწვრთნას.

რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, არ არის არაბული ლიგის დონე, სანიოლი დიდად რომ მოიხიბლოს, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ არაბები მას წლიურ ჯამაგირად, რამდენიმე მილიონ დოლარს ძალიან მარტივად შესთავაზებენ და დიდი შანსია, ამან გადამწყვეტი როლი ითამაშოს. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე გასული 24 ნაკრების მწვრთნელიდან, წლიური 200-ათას ევროიანი ჯამაგირით, სანიოლი ყველაზე დაბალანაზღაურებადი მწვრთნელი იყო.

ასე არ შეიძლება – ვინმემ პასუხი უნდა აგოს

საქართველოს კალათბურთლეთა ნაკრებს საოცარი შანსი ჰქონდა იმისა, რომ ფეხბურთელების მიერ დაწყებული ისტორიის წერა გაეგრძელებინა და ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ეასპარეზა. ამისთვის, საქართველო ჯგუფიდან უნდა გასულიყო (მეტოქეებად ლატვია და ფილიპინები ჰყავდა), შემდეგ კი პლეი-ოფი და... დაუძლეველი ბარიერი ნამდვილად არ გახლდათ, თუმცა...

როცა სამგუნდიანი ჯგუფიდან ორი გადის, ერთი მოგებაც კი საკმარისია ხოლმე და ჩვენებმაც, სავარაუდოდ, აქცენტი სწორედ ამაზე გააკეთეს. პირველი შეხვედრა ლატვიასთან გვქონდა, რომელთა დანარცხება, მონდომების შემთხვევაში, შეიძლებოდა, თუმცა სავარაუდოდ, ნაკრების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ლატვიასთან ძალები დავზოგეთ და შეგნებულად წავაგეთ. ჰო, შეგნებულად წავაგეთ, მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც – ბალტიისპირელებმა ჩვენს გუნდს 83-55 მოუგო. ყველა ლოგიკით, ლატვიელებს ფილიპინებიც უნდა დაემარცხებინათ და ჩვენ მერე ამ გუნდთან უბრალოდ გამარჯვებაც გვყოფნიდა, მაგრამ არა – ლატვიამ შორს გაიხედა, ფილიპინელებს არ შეაკვდა და მათთან შეხვედრა წააგო. ჰოდა, ისე გამოდიოდა, რომ საქართველოს მიერ, ფილიპინელების დამარცხების შემთხვევაში, ჯგუფში სამივე ნაკრებს 3-3 ქულია მოუგროვდებოდა და ბურთები დაითვლებოდა. შესაბამისად, ლატვიასთან 28-ქულიანი სხვაობით წაგებულმა მატჩმა გადამწყვეტი მნიშვნელობა ითამაშა. თუ შემდეგ ეტაპზე გასვლა გვსურდა, ფილიპინელებისთვის ყველაზე ცოტა, 19 ქულით უნდა მოგვეგო, რაც წარმოუდგენლად ჩანდა და ასეც მოხდა – საბოლოო ჯამში, 96-94 მოვიგეთ და შემდეგ ეტაპზე ფილიპინები და ლატვია გავიდა.

როცა თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია, მაშინ ჩამოჰკრავს ხოლმე უბედურების ზარი და ამის გამო, ვინმემ პასუხი უნდა აგოს. არ შეიძლებოდა ლატვიასთან ასე უხეიროდ ასპარეზობა და იმის იმედად ყოფნა, რომ ლატვია აუცილებლად მოუგებდა ფილიპინებს. ხომ უნდა სცოდნოდათ და მიმხვდარიყვნენ, რომ როგორც ჩვენ დავზოგეთ თავი, ისე შეიძლებოდა ლატვიასაც დაეზოგა, რადგან ჩვენ ძალიან კომფორტული სხვაობით გვიგებდა და ფილიპინებთან მშვიდად იქნებოდა, თავს შეინახავდა და ასეც მოხდა. არადა, ოლიმპიადაზე თამაშის ძალიან, ძალიან რეალური შანსი გვქონდა.

ბითაძის 3 წელი და 25 მილიონი

NBA-ს კლუბის – „ორლანდო მეჯიქის“ ქართველი ლეგიონერი, გოგა ბითაძე ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა და მისი დამატება ბევრ გუნდს სურდა. საბოლოოდ, თავად გოგამ ისევ „ორლანდოში“ დარჩენა ამჯობინა და გუნდთან ახალ, სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

„ორლანდოსთვის“ ეს კარგი ამბავია. ბითაძე სტაბილურობით გამოირჩევა, თითქმის არასდროს იღებს ტრავმას და ამიტომ, მისი შენარჩუნებით, ორივე მხარე იხეირებს. საქმე ის გახლავთ, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ქართველი ლეგიონერი, საერთო ჯამში, 25 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც ურიგო ჯამაგირი ნამდვილად არ არის“, – წერს ამერიკული მედია.

დაიწყო – ქვილითაია კარიერას „არისში“ გააგრძელებს



ყველამ იცის, რომ ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრების წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ქართველი ფეხბურთელების მიმართ ინტერესი გაიზრდება. ყველაზე მეტად, გიორგი მიქაუტაძის, ხვიჩა კვარაცხელიასა და გიორგი მამარდაშვილის სატრანსფერო ამბებს ველოდებით, რადგან ისინი, წესით, ტოპ-კლუბებში უნდა გადავიდნენ (თუმცა, უკვე ამბობენ, რომ მიქაუტაძემ კონტრაქტი „მონაკოსთან“ გააფორმა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშებს).

გუნდი შეიცვალა ნაკრების ფორვარდმა გიორგი ქვილითაიამ. ის კვიპროსული „აპოელის“ კაპიტანი და ლიდერი იყო, გუნდს ჩემპიონობაშიც დაეხმარა, მაგრამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და მხარეები კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ შეთანხმდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ქვილითაიას ორმაგი ხელფასი ასევე კვიპროსულმა „არისმა“ შესთავაზა, რომელმაც გასულ სეზონში მეოთხე ადგილი დაიკავა და ევროთასების მიღმა დარჩა. ამიტომ, მომავალ სეზონში, „არისს“ სწორედ ქვილითაიას დახმარებით სურს ევროსაგზურისთვის ბრძოლა. გარიგება შედგა, გიორგიმ ახალ კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და ახალი სეზონისთვის მზადებას მალე დაიწყებს.

კვიცი გვარზე ხტის

მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონის, ოლიმპიადის პრიზიორის, გენო პეტრიაშვილის უმცროსი ძმა, კონსტანტინე პეტრიაშვილი ჭიდაობის ვარსკვლავად ყალიბდება. მან ჯერ 15-წლამდელთა შორის მოიგო ევროპის ჩემპიონატი, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის, ახლა კი, 17-წლამდელებში მოიპოვა კონტინენტის ოქრო, მაგრამ აქ მხოლოდ მის გამარჯვებებზე არ ვისაუბრებთ.

საქმე ის გახლავთ, რომ პეტრიაშვილმა მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაკარგა ქულები, თუმცა ისიც დამაჯერებლად, 10:4 მოიგო, ყველა დანარჩენი შეხვედრა კი, ფინალის ჩათვლით, დროზე ადრე დაასრულა, რადგან მეტოქესთან აშკარა, 10-0 უპირატესობა ჰქონდა. ახლა უკვე, მხოლოდ ქართველი სპეციალისტები კი არა, ევროპელი ექსპერტები ამბობენ, რომ კონსტანტინე პეტრიაშვილის სახით, ჭიდაობას ახალი ვარსკვლავი ეზრდება, რომელიც ტიტულებით ძმას აუცილებლად აჯობებს. შეგახსენებთ, რომ გენო პეტრიაშვილს ოლიმპიადებზე ბრინჯაო და ვერცხლი, მსოფლიოს ჩემპიონატებზე – 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო, ხოლო ევროპის ჩემპიონატებზე – 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაოს მედალი აქვს.

ლორია კარიერის დასრულებას არ აპირებს

გიორგი ლორია 27 იანვარს, 38 წლის გახდა და ბევრი ფიქრობდა, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, სადაც ის ნაკრებში მეორე მეკარის სტატუსით იმყოფებოდა, კარიერას დაასრულებდა. მით უმეტეს, რომ მის ამჟამინდელ კლუბში – თბილისის „დინამო“ ახალი კიპერი მოიყვანეს და გიოს მუდმივი სათამაშო დროის დეფიციტი ჰქონდა, მაგრამ...

„ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ლორიასთან ხელშეკრულება შევწყვიტეთ. ის კარიერას კვიპროსში გააგრძელებს და ახალ კლუბში წარმატებას ვუსურვებთ“, – ეს განცხადება „დინამომ“ გაავრცელა.

როგორც გავარკვიეთ, ქართველი კიპერი კვიპროსის უმაღლეს ლიგაში, წელს დაბრუნებულ „ომონია არადიპუში“ ითამაშებს. კვიპროსის ჩემპიონატი ლორიასთვის უცხო ნამდვილად არ არის, ის 2019-23 წლებში, „ანორთოსისის“ კარს იცავდა და ამ გუნდთან ერთად, ქვეყნის თასიც მოიპოვა.

პატარა მოთხრობა კატაზე, რომელსაც მელანო ერქვა

თინათინ ჭეჟია

ზუსტად რვა წლის ვიყავი, როცა კატა, მელანო ჩვენს სახლში გამოჩნდა. ეს ამბავი კარგად იმიტომ მახსოვს, რომ იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო, 5 თებერვალი. მანამდე ყვითელი თუთიყუში, ჩიკო გალიიდან გაგვიფრინდა და დაიკარგა. ამის გამო, ბევრი ვიტირე, რის შემდეგაც დედაჩემმა თქვა:

– ამ სახლში ადამიანის გარდა, არც ფრინველი და არც ცხოველი არ დავინახო მოყვანილი. მორჩა და გათავდაო.

... მაგრამ ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ, მელანო გამოგვეცხადა და ყველას გული მოინადირა. არავინ იცის, საიდან მოვიდა. როცა სტუმრები გავაცილეთ, მაშინვე საჩუქრების თვალიერებას შევუდექი.

უცებ, ორ სათამაშო დათუნიას შორის, რაღაც შავ-თეთრი გამოძრავდა. მას მშვიდად ეძინა და მე გახარებულმა, რა თქმა უნდა, ვიფიქრე, რომ ის, ალბათ, რომელიმე სტუმარმა საჩუქრად მომიყვანა, მერე კი გავარკვიეთ, რომ ეს ასე არ იყო. ახლა მოგიყვებით იმაზე, რომ ის თავდაპირველად სრულიად ჩვეულებრივად, ასე ვთქვათ, კატურად იქცეოდა: ჭამდა, ეძინა და თავის კუდს ეთამაშებოდა.

ბებიამ დაასკვნა, რომ დაახლოებით, ერთი წლის თუ იქნებოდა. ამის შემდეგ, მელანო მალევე მოიზარდა. ერთ დღეს კი, როცა ჟურნალ „დილა“-ს ახალ ნომერს ვკითხულობდი, ბებიამ, რომელიც ჩემს ვარდისფერ, ახალ კაბაზე მშვენიერ, გვირილის ფორმის თეთრ ღილებს აკერებდა, ძირს დავარდნილი მაკრატლის მიწოდება მთხოვა. ისე ვიყავი კითხვით გართული, რომ ცოტა ფეხი ავითრიე. ბებიამ ისევ დამიძახა: – ანა, მაკრატელი მომაწოდე-მეთქი, ბებიკო!

... და, რა მოხდა, თუ იცით?

მელანომ წინა ორი თათით მაკრატელი გააჩოჩა ბებოსკენ. მეც და ბებომაც ვიფიქრეთ, რომ ის ძველებურად გაეთამაშებოდა ვერცხლისფერ, მოზრდილ მაკრატელს, მაგრამ მან, მელანომ რამდენჯერმე მიაცურა ხალიჩაზე ის, ზედ ბებიას ფეხებამდე მიიტანა, თავის თეთრ, უკანა ფეხებზე დაჯდა, ჯერ მე შემომხედა, მერე ბებოს და დაელოდა. რა თქმა უნდა, ეს იმ დღეს მთელმა ოჯახმა გაიგო, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენმა მწვანეთვალება მელანომ შემდგომ ჩაიდინა.

ეს კი ასე მოხდა: სამშაბათს, გაკვეთილების შემდეგ, ბებოსთან ერთად, სკოლიდან ვბრუნდებოდით. სახლის კარს მივუახლოვდით თუ არა, დავინახეთ, ჩვენი მელანო, თავისი სამი კნუტით, ჭიშკართან წრიალებდა.

მე და ჩემმა დამ, თამთამ, ცოტა არ იყოს გაკვირვებულებმა, ხელი ვტაცეთ პატარებს და სახლში შესვლა დავაპირეთ. მელანომ კი, რომელიც იშვიათად კნაოდა, ერთი ამბავი ატეხა და სახლში შესვლა არ დაგვანება.

ბებომ თქვა: – ეს მელანო ტყუილად არ წრიალებს გარეთ, თან შვილებიც გამოუყვანია. თქვენ აქ იყავით.

– აბა, რა მოხდა, მელანო, ქალო, რა მოხდაო? – მიმართა ბებომ მელანოს, თან სახლის კარს აღებდა.

სურათი კი ასეთი იყო: სამზარეულოში ონკანი გამსკდარიყო, შადრევანივით ასხამდა და მუხლებამდე დამდგარ წყალზე ფეხსაცმელები, სათამაშოები, სხვა საოჯახო ნივთები ტივტივებდნენ. ხოლო, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, ძია ნიკამ, ჩვენმა კარის მეზობელმა, რომელიც ონკანის გაკეთებაში დაგვეხმარა, ასეთი რამ გვიამბო: – ერთი საათის წინ, კარზე ფხაჭუნი გავიგე.

გავაღე და რას ვხედავ, თქვენი მელანო არ არის! გამიკვირდა. მას ხომ კნუტები ჯერ პატარები ჰყავს. ვიცოდი, სახლში არ იყავით, ვიფიქრე, ხომ არ მოშივდა-მეთქი და შემწვარი თევზის ნაჭერი გამოვუტანე.

იქვე დავუდე და კარი მოვიხურე. ცოტა ხანში, თითქოს ისევ მომესმა კნავილი, მაგრამ ტელევიზორში საინფორმაციოს თავი ვერ გავანებე, თან ვიფიქრე, თევზი ხომ მივეცი-მეთქი და გული დავიმშვიდე.

ახლა ვხედავ, ეს თევზი აქ დევს. კნუტები რომ დამენახა, შეიძლება, რამეს მივმხვდარიყავი, მაგრამ ხედავ? მოფარებულში ჰყოლია, თქვენ რომ დაგინახათ, მაშინ გამოიყვანა. ეს მელანო ვინ ყოფილა, კატაა თუ ადამიანი?

ჩვენ ახლა, რა თქმა უნდა, დიდები ვართ, მეც სამი შვილი მყავს, როგორც მაშინ, ჩვენს მელანოს და როცა ბავშვობას ვიგონებთ, ჩემები მაშინვე მთხოვენ: მელანოზე მოგვიყევი, რა, დედა, მელანოზეო.

... და ვიწყებთ:

– გახსოვს, მელანოს დროს რომ იასამნისფერი ფეხსაცმელი მქონდა? ცალი სადღაც მიიკარგა. ვეძებდით. გავიხედეთ და, მელანო ბებოს საწოლის ქვეშ შეძვრა და იქიდან ფეხსაცმელი გამოიტანა.

– აუ, ის გახსოვს, ჩოგბურთის ბურთი რომ გადაგვივარდა ბერიძეების ეზოში? სახლში არავინ იყო და ვერ გამოგვქონდა. აძვრა მელანო სახურავზე, ეზოში ჩახტა და ბურთი პირით გამოიტანა. გაკვირვებულები ჯერ დავმუნჯდით, მერე კი ისეთი ყიჟინა ატყდა, ახლა მელანო გვიყურებდა გაოცებული.

ალბათ, ფიქრობდა, რა ვქენი იმისთანა, ბურთი გამოვუტანე, მეტი ხომ არაფერიო. აი, ასეთი კატა გვყავდა ბავშვობაში მე და ჩემს დას, თამთას, რომელსაც ბებია ქალბატონ მელანოს ეძახდა. ჩვენ კი, უბრალოდ, ძალიან გვიყვარდა ის, არა მხოლოდ როგორც კატა, არამედ, როგორც ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

ველობილიკს ზღვაზე გააკეთებენ

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში, 200-მეტრიანი ველობილიკი ზღვის ზედაპირზე გაკეთდება. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ის მუნიციპალის (ჰელსინკის უმსხვილესი რაიონი) კონსტრუქციის ნაწილი გახდება. პროექტი ამ ეკოტრანსპორტის მოყვარულებს საშუალებას მისცემს, თავი აარიდონ გორაკზე გადაადგილებას. „მაგალითები გვიჩვენებს, რომ უფრო სწორი მარშრუტი ადამიანებს ველოსიპედით გადაადგილების სტიმულს აძლევს“, – აცხადებს პროექტის ავტორი. ახალი ველობილიკის მშენებლობა 2026 წელს დაიწყება. ახალი მარშრუტი, რომელიც ქალაქის ცენტრიდან დაიწყება, ბევრ ადამიანს გაუჩენს სურვილს, ველოსიპედით იმოძრაოს.

გელზენკირხენს სახელს გადაარქმევენ

გერმანიის დასავლეთით მდებარე ქალაქ გელზენკირხენს, სადაც ცოტა ხნის წინ, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების თამაში ვიხილეთ, სახელს დროებით გადაარქმევენ და მას სვიფტკირხენი დაერქმევა. მიზეზი პოპულარული ამერიკელი მომღერლის, ტეილორ სვიფტის გასტროლებია. როგორც გერმანული Spigel-ი წერს, ქალაქისთვის სახელის შეცვლის იდეა მომღერლის ფანს – ალეშანი ვესტჰოფს დაებადა. მან ინტერნეტში პეტიცია შექმნა, რომელსაც ყურადღება გელზენკირხენის მერმაც მიაქცია და ჩათვალა, რომ ეს მშვენიერი იდეა იყო. ტეილორ სვიფტის კონცერტები ქალაქში 17, 18 და 19 ივლისს გაიმართება. წინასწარი მონაცემებით, თითოეულ კონცერტს 70 ათასამდე მაყურებელი დაესწრება. მომღელის წასვლის შემდეგ, სვიფტკირხენს ძველ სახელს დაუბრუნებენ.

რობოტმა „თავი მოიკლა“

სამხრეთ კორეაში რობოტის პირველი „თვითმკვლელობა“ დაფიქსირდა. როგორც Daily Mail-ი წერს, შემთხვევა ქალაქ გუმიში მოხდა. რობოტი ადგილობრივ მერიაში გასული წლიდან მუშაობდა. მას დილის 9 საათიდან საღამოს 6-მდე საბუთები გადაჰქონდა, მოქალაქეებს კონსულტაციას უწევდა და სართულებს შორის გადაადგილება, ასევე, ლიფტის გამოძახებაც შეეძლო. ცოტა ხნის წინ, რობოტი კიბიდან დაგორდა და დაიმტვრა. თვითმხილველები ამბობენ, რომ ინიციდენტამდე ის ერთ ადგილზე ტრიალებდა. მომხდარის მიზეზი უცნობია, თუმცა კორეელებმა ამ ფაქტს რობოტის პირველი „თვითმკვლელობა“ უწოდეს და „ტრაგედიის“ გამო, სოციალურ ქსელებში გლოვა გამოაცხადეს. ქალაქის მერიაში ამბობენ, რომ ამ ეტაპზე, შტატში სხვა რობოტის აყვანას არ გეგმავენ.

მაცივარს ხელოვნური ინტელექტი შეგივსებთ

ამომავალი მზის ქვეყანაში სრულდება ქალაქ-ლაბორატორიის Woven City მშენებლობა. პროექტის თანახმად, ეს მომავლის ქალაქი „მწვანე“ ენერგიაზე, რობოტებზე, ხელოვნურ ინტელექტსა და ავტონომიურ სატრანსპორტო საშუალებებზე იმუშავებს. კომპანია Toyota-მ, ფუძიამას მთის ძირში მშენებლობა 2021 წელს დაიწყო და მის დასრულებას წელს გეგმავს. მომავალი წლიდან იგეგმება ქალაქის თანდათანობით ამოქმედება და სადემონსტრაციო ცდებიც გაიმართება, რომელიც მოიცავს ექსპერიმენტებს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. მომავლის ქალაქის სახლებში რობოტოტექნიკას და სენსორულ ხელოვნურ ინტელექტს გამოიყენებენ ყოველდღიური ამოცანების შესასრულებლად, მაგალითად, მაცივრის მარაგით შესავსებად, ან ნაგვის გასატანად. გახსნისთანავე იგეგმება იქ 360-მდე ადამიანის ჩასახლება, მომავალში კი ქალაქის მოსახლეობა 2000-მდე გაიზრდება. მაცხოვრებლებს შორის იქნებიან, ასევე, კომპანიის თანამშრომლები, ტექნიკოსები და მკვლევარები, რომლებიც ქალაქში ცხოვრებას დააკვირდებიან და რეალურ პირობებში ახალ ტექნოლოგიებს შეიმუშავებენ.

ბორტგამცილებლებს ბოტასების ჩაცმის უფლება მისცეს

ნიდერლანდების უმსხვილესმა ავიაკომპანია KLM-მა, ქალ ბორტგამცილებლებს და სხვა თანამშრომლებს სამსახურში სპორტული ფეხსაცმლით სიარულის ნება დართო. აქამდე სუსი სქესის წარმომადგენელ ბორტგამცილებლებს მხოლოდ ქუსლიანი ფეხსაცმლის ტარების ნება ჰქონდათ, ქუსლის სიმაღლეს კი თავად ირჩევდნენ. ახლა კი, მამაკაცების მსგავსად, სურვილის შემთხვევაში, ქალებსაც შეეძლებათ, სამსახურში ბოტასებით სიარული. თუმცა, ავიაკომპანიამ გარკვეული შეზღუდვები მაინც დააწესა: სპორტული ფეხსაცმლის ჩაცმა მხოლოდ შარვალზე არის დასაშვები და ის უნიფორმის ფერსა და სტილს უნდა შეესაბამებოდეს. ამასთან, ბოტასები ხელოვნური ტყავისგან უნდა იყოს დამზადებული და თეთრი ძირი უნდა ჰქონდეს.

ინტერნეტის სისწრაფეში რეკორდი დაამყარეს

იაპონიის ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის სწავლულებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს მონაცემთა გადაცემის სისწრაფეში. მან წამში 402 ტერაბიტი შეადგინა, რაც დაახლოებით, 5-მილიონჯერ აღემატება დიდ ბრიტანეთში, ინტერნეტის საშუალო ფართოზოლოვან სიჩქარეს. ეს საშუალებას იძლევა, 12 500 ფილმი ერთ წამში გადმოიწეროთ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მათ ახალ მეთოდს მიმართეს და ტალღების სიგრძის აქამდე გამოუყენებელი დიაპაზონები აამოქმედეს. მკვლევარებმა რეკორდი ლაბორატორიულ პირობებში დაამყარეს. ახლა დამატებითი კვლევებია საჭირო, რათა რეალურ სამყაროში, ამ პოტენციალის თუნდაც ნაწილი განახორციელონ.

„ვარსკვლავური“ სოლარიუმი გახსნეს

გერმანიაში პირველი სოლარიუმი გაიხსნა, რომელსაც შეიძლება „ვარსკვლავური“ ვუწოდოთ. გასარუჯი სანათები სხვადასხვა ვარსკვლავის სპექტრის იმიტირებას ახდენენ. პროექტი მხატვარმა-კონცეპტუალისტმა, ჯონათან კიდსმა წარადგინა მიუნხენის კულტურისა და ტექნოლოგიის ფესტივალზე. სალონში ნახავთ სანათებს, რომელთა გამოსხივების დიაპაზონი ცივი, წითელი ჯუჯებიდან იწყება და ცისფერი გიგანტებით მთავრდება, როგორიც ვეგა და ლირას თანავარსკვლავედია. წარდგენილია ასევე სანათი ბეტელჰეიზეს სპექტრით – ეს წითელი ზეგიგანტია ორიონის თანავარსკვლავედში, რომელიც მალე, შესაძლოა, საერთოდ გაქრეს ცის კაბადონიდან. ინიციატივის ავტორის თქმით, შორეული მნათობების გამოსხივებით მიღებული რუჯი ადამიანს საშუალებას მისცემს, შეიგრძნოს სიცოცხლის არსი სხვა პლანეტებზე ისე, რომ არ დატოვოს დედამიწა.

ხანდაზმულებს სიბრმავისგან ლინზები დაიცავს

ამერიკელმა მკვლევარებმა, პერდუს უნივერსიტეტიდან, კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელიც გლაუკომას ადრეულ პერიოდში გამოავლენს. აღსანიშნავია, რომ სწორედ გალუკომაა ხანდაზმულებში სიბრმავის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. თვალის ამ დაავადებას ადრეულ სტადიაზე უსიმპტომო მიმდინარეობა ახასიათებს, ის სწრაფად ვითარდება და შესაძლოა, ადამიანმა მხედველობა დაკარგოს. დღეისათვის, ამ დაავადების დიაგნოზი 80 მილიონზე მეტი ადამიანს აქვს და მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა თვალის შიდა წნევის კონტროლია. ამ კონტროლს სპეციალური ლინზების მეშვეობით ახორციელებენ, რომელიც აღჭურვილია მიკროსქემით, რაც ლინზის სისქისა და სიხისტის მატებას იწვევს და დისკომფორტს უქმნის პაციენტებს. ამერიკელმა სპეციალისტებმა კი რბილი კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელიც მეტად მოსახერხებელია, არ იწვევს დისკომფორტს და შესაფერისია თვალის შიდა წნევის 24-საათიანი კონტროლისთვის, თუნდაც სახლში, ძილის დროსაც კი. სწავლულები უკვე თანამშრომლობენ კერძო კომპანიასთან და ახალი ლინზები, შესაძლოა, სულ მალე გახდეს ხელმისაწვდომი ექიმებისა და პაციენტებისთვის.

პლასტმასის სწრაფად დაშლის გზას მიაგნეს

გერმანელმა სწავლულებმა, ლაიფციგის უნივერსიტეტიდან, ახალი ფერმენტი PHL7 აღმოაჩინეს, რომლის დახმარებითაც პლასტმასის დაშლა 90%-ით, სულ რაღაც 16 საათშია შესაძლებელი. საინტერესოა, რომ ახალი ნივთიერება ასევე შლის პოლიეთილენის ტარას, ტერეფტალის მჟავასა და ეთილენგლიკოლად. მათ კი, თავის მხრივ, სპეციალისტები შემდეგში ახალი პროდუქტის შესაქმნელად, ხელმეორედ გამოიყენებენ. მკვლევარებმა სულ შვიდი სხვადასხვა ფერმენტი აღმოაჩინეს – ყოველი მათგანი, ექსპერიმენტების მეშვეობით, საგულდაგულოდ შეისწავლეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მათი აღმოჩენა ხელს შეუწყობს პლასტმასის გადამუშავების სფეროს გაუმჯობესებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

ჰაერის დაბინძურება მილიონობით ადამიანს კლავს

ყოველწლიურად, ჰაერის დაბინძურებას 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, – წერს Deutche Welle, სამეცნიერო ჟურნალში – The Lancet Planetary Health გამოქვეყნებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. კვლევას ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულები აწარმოებდნენ. მათი თქმით, გარემოს დაბინძურება 2015 წლიდან, საშუალოდ, 9 მილიონ ადამიანს კლავს. კვლევაში აღნიშნულია, რომ „ჰაერის დაბუნძურება ადამიანისა და პლანეტის ჯანმრთელობისთვის ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგნს და თანამედროვე საზოგადოებების მდგრადობას საფრთხეს უქმნის“. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გარემოს დაბინძურებას ადამიანის ჯანმრთელობაზე უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ომებს, ტერორიზმს, მალარიას, აივ-ინფექციას, ტუბერკულოზს, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს. „ქვაბში ვსხედვართ და ვიხარშებით, გარემოს დაბინძურებას კი საკმარის ყურადღებას არ ვაქცევთ“, – ამბობენ კვლევის ავტორები.

მთიან რეგიონებში ცხოვრებისთვის ფულს გადაუხდიან

იტალიაში, ტოსკანას რეგიონში, Residency in the Mountains 2024-ის პროგრამა გამოცხადდა, რომელიც რეგიონის მთიან სოფლებში საცხოვრებლად გადასასვლელად ფინანსურ დახმარებას ისახავს მიზნად. ამ პროგრამის მეშვეობით, ადგილობრივი ხელისუფლება მსურველებს 10 ათასიდან 30 ათას ევრომდე გრანტებს სთავაზობს, რომლის გამოყენებაც სახლის ყიდვისა და რემონტის ხარჯების დასაფარად შეიძლება გამოიყენონ. პროგრამის მიზანია, მთიანი ტერიტორიების ხელახალი დასახლება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ტოსკანამ, საერთო ფონდის სახით, 2 800 000 ევრო გამოყო. ის 5 ათასზე ნაკლები მოსახლეობის მქონე ქალაქებში სახლების შეძენას და მათ მოწესრიგებას მოხმარდება. დაინტერესებული პირები ვალდებულნი იქნებიან, შეძენილი უძრავი ქონება მუდმივ საცხოვრებლად აქციონ. განაცხადის შეტანა კი შეეძლებათ იტალიის მოქალაქეებს, ასევე, ევროკავშირის წევრი ან არაწევრი სახელმწოფოს მოქალაქეებს, რომელთაც ქვეყანაში არანაკლებ ათწლიანი ბინადრობის უფლება აქვთ.

კრიპტოდამოკიდებულებას უმკურნალებენ

ესპანურ კუნძულ მალიორკაზე, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს, სარეაბილიტაციო ცენტრი The Balance გაიხსნა, სადაც კრიპტოდამოკიდებულებს მკურნალობენ. ერთთვიანი კურსი ამ დაწესებულებაში 75 ათასი დოლარი ღირს. ზოგიერთი პაციენტი კი გარიგებებში, ამ თანხაზე სამჯერ მეტს, ერთ კვირაში ხარჯავდა კრიპტოვალუტით. სპეციალისტების თქმით, კრიპტოდამოკიდებულების სიმპტომებია: ტყუილი, ძილის პრობლემები, კრიპტოვალუტით ვაჭრობა ჯანმრთელობის, სამუშაოსა და პირადი ცხოვრებისთვის ზიანის მიყენებით, ასევე გამუდმებული სურვილი, დღე და ღამე კრიპტოვალუტის ფასების კონტროლი. მკვლევარები ამბობენ, რომ ეს დამოკიდებულება აზარტული თამაშებით გატაცებას ჰგავს. სარეაბილიტაციო ცენტრში პაციენტებს მასაჟებით, იოგით, სუფთა ჰაერზე სეირნობითა და ფსიქოთერაპიით მკურნალობენ. მალიორკას ცენტრი ელიტურია, მის კლიენტებს შეუძლიათ იცხოვრონ კერძო ვილებში, ისარგებლონ პირადი მზარეულის, კარისკაცისა და სხვა დამხმარეების მომსახურებით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ცენტრები სხვა ქვეყნებშიც მუშაობს, მსოფლიოში პირველი კი, 2021 წელს, შოტლანდიაში, ერთ-ერთ ციხესიმაგრეში გაიხსნა.

ვენა საცხოვრებლად ისევ საუკეთესო ქალაქია

ავსტრიის დედაქალაქი ვენა, მესამე წელია, ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ყველაზე კომფორტულ ქალაქად აღიარეს, როგორც საცხოვრებლად, ასევე, დასასვენებლად. შესაბამისი რეიტინგი პორტალმა Express-მა გამოაქეყნა. საუკეთესო ქალაქების სიაში მოხვდნენ, ასევე, დანიური კოპენჰაგენი, შვეიცარიული ციურიხი და ჟენევა. ცხოვრების კომფორტის ინდექსი ქალაქის სიცოცხლისუნარიანობის ხუთ მნიშვნელოვან ასპექტს ითვალისწინებს, როგორიც არის სტაბილურობა, ჯანდაცვა, კულტურა, განათლება და ინფრასტრუქტურა. ვენა უამრავი არქტიტექტურული ძეგლითა და უნიკალური კულინარიით გამოირჩევა. ხელოვნების მოყვარულთათვის აქ 100-ზე მეტი სამხატვრო გალერეაა, რომელთაც ყოველწლიურად, 8 მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავს.

სოციალური კავშირები ჯანმრთელობის საწინდარია

სწავლულებმა კენტის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ მტკიცე სოაციალურ კავშირებს ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მათი კვლევის შედეგები ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნდა. სპეციალისტებმა 122 ქვეყნის 13 ათასზე მეტი მცხოვრების მონაცემები გააანალიზეს, რომელიც პანდემიისას, კარანტინის პერიოდში შეგროვდა. მკვლევარებმა შეაფასეს ადამიანების სოციალური კავშირები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. აღმოჩნდა, რომ ისინი, რომელთაც ძლიერი ოჯახური კავშირები ჰქონდათ, უფრო ხშირად იბანდნენ ხელებს, ინარჩუნებდნენ დისტანციას და ატარებდნენ ნიღბებს პანდემიის დროს. კვლევებით ასევე დადგინდა, რომ მჭიდრო კავშირები უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან ასოცირდება. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ჯანდაცვის სისტემებს შეუძლიათ შეამცირონ მედიკამენტური მკურნალობის ხარჯები, ადამიანებისთვის, სოციალური კავშირების გაძლიერების დანიშვნით.

გახდომაში ჰორმონი უშლის ხელს

ამერიკელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ განსაკუთრებული ჰორმონი უქმნის წინააღმდეგობას იმ ქალებს, რომელთაც გახდომა სურთ. ლაპარაკია ჰორმონ პჲმყ-ზე, რომელიც ენერგიის ხარჯვას აკონტროლებს, არასაკმარისი კვებისა და ფიზიკური აქტივობის დროს. ექსპერიმენტებისთვის მკვლევარებმა ჭარბი წონის მქონე მღრღნელები გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ მსუქან მამრობითი სქესის თაგვებს ფიზიკური დატვირთვისას წონაში კლება უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე მდერობითი სქესისებს. არადა, კვების რეჟიმი და დატვირთვა ერთნაირი ჰქინდათ. როგორც აღმოჩნდა, გახდომის ტემპებზე გავლენას ჰორმონი ახდენდა. თუმცა, მდედრებში ის მხოლოდ მადას არეგულირებდა, მამრებში კი ფიზიკური აქტივობისას დახარჯულ ენერგიასაც აკონტროლებდა. ანალოგიური სიტუაციია ქალისა და მამაკაცის ორგანიზმებშიც.

სწავლულები ვირტუალურ საკვებს გვიმზადებენ



სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის სპეციალისტები წარმატებულ ცდებს ატარებენ ეგრეთ წოდებულ, ვირტუალურ საკვებთან დაკავშირებით. ეს ელექტრონული მოწყობილობებია, რომელიც საჭმლის გემოსა და კონსისტენციის იმიტირებას ახდენენ. ახალ ტექნოლოგიებს თამაშებში გამოიყენებენ – მონაწილეებს შეეძლებათ, „გასინჯონ“ საჭმელი ისე, რომ არ გამოვიდნენ ვირტუალური სივრციდან. ის ასევე მოთხოვნადი იქნება იმ ადამიანებში, რომლებიც იძულებულნი არიან, უარი თქვან რომელიმე პროდუქტზე, მასზე ალერგიის გამო. ციფრული სტიმულატორის მეშვეობით კი ნებისმიერი ალერგენი, ან ყველაზე მავნე „ფასტფუდი“ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად „მიირთვათ“. სწავლულებმა უკვე შექმნეს ციფრული „საწუწნი კანფეტები“. მათი თქმით, ყველაზე დიდი სირთულე სწორედ სტიმულატორებით ტკბილი გემოს გადმოცემაა.

ქალაქში ბუშტები აკრძალეს

კალიფორნიაში, ქალაქ ლაგუნა-ბიჩში, ბუშტების გაყიდვა და გამოყენება აიკრძალა. ამის მიზეზი ფრინველებისა და ოკეანის დაცვაა. შეზღუდვები ძალაში 2024 წლიდან ამოქმედდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი საკანონმდებლო ინიციატივები სულ უფრო მეტ ქალაქში ჩნდება. ლაგუნა-ბიჩში ყველა ტიპის საჰაერო ბუშტის გაშვება და მათი საზოგადოებრივ ადგილებში დემონსტრირება იკრძალება. მათ არც ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებაზე დაუშვებენ. კანონის დარღვევისთვის ჯარიმა 500 დოლარამდეა. თუკი ვინმეს ბუშტებით საკუთარი სახლის მორთვა მოუნდება, ამას არავინ დაუშლის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი აკრძალვა უკვე მოქმედებს მერილენდისა და ვირჯინიის შტატებში, ასევე ჰავაიზე. მსგავს კანონს განიხილავენ ნიუ-იორკსა და ფლორიდაშიც. საჰაერო ბუშტები, ოკეანეში მოხვედრისას, ათწლეულების განმავლობაში იხრწნება. გარდა ამისა, ლატექსი შეიძლება შეჭამონ ზღვის ცხოველებმაც. გადაყლაპული რეზინი 32-ჯერ ხშირად კლავს ფრინველებს, ვიდრე ჩვეულებრივი პლასტმასი.

ყველი კარტოფილისგან?



„მწვანე კონტინენტის“ მცხოვრებ ენდრიუ დაიჰინს 12 წელი დასჭირდა, კარტოფილის საფუძველზე ულაქტოზო ყველიანი პროდუქტი რომ დაემზადებინა. ამგვარ კარტოფილის ყველს, ავტორმა Cato (cheese+potato) უწოდა. ის ისევე გამოიყურება, როგორ ყველი, მასავით დნება და სასიამოვნო გემო აქვს. ამ ყველით გამოცხობაც შეიძლება, მისი დესერტებში დამატებაც შესაძლებელია და მისგან ნაყინსაც დაამზადებთ. მომზადების ტექნოლოგიას ავსტრალიელი არ ამხელს, თუმცა ამტკიცებს, რომ კარტოფილის გარდა, „ჩატოსთვის“ სხვას არაფერს იყენებს. ამჟამად ის ინვესტორების მოძიების პროცესშია, ყველის გასაყიდად წარმოება რომ დაიწყოს. ახალი ყველის ავტორი დარწმუნებულია, რომ მისი პროდუქტი პოპულარული გახდება ვეგეტარიანელებში, მოეწონებათ მათაც, რომლებსაც ლაქტოზას შეუთავსებლობა აქვთ და იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ახალი პროდუქტის გასინჯვა უყვართ.

საქორწინო ტორტებსაც აქირავებენ

კანადური საკონდიტრო Le Dolci, რომელიც მრავალნაირი უგემრიელესი ტკბილეულობით არის ცნობილი, საკუთარ კლიენტებს უჩვეულო სერვისს სთავაზობს. შეყვარებულ წყვილებს ის მნიშვნელოვნად შეუმცირებს ხარჯებს საქორწინო ტორტის მიქირავებით. ყველამ კარგად ვიცით, რომ სადღესასწაულო ტორტები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ყველას არ მიუწვდება მათზე ხელი. კანადელების ახალი მომსახურება კი საშუალებას იძლევა, შეუკვეთოთ ნაწილობრივ ფიქტიური ტორტი, რომლის მხოლოდ ზედა ნაწილი იჭმევა. მას დაჭრით და სტუმრებსაც გაუმასპინძლდებით, ქვედა, ბუტაფორიულ ნაწილს კი, ქორწილის შემდეგ, საკონდიტროს დაუბრუნებთ. საწარმოს თანამშრომლების თქმით, ასეთი სერვისის წყალობით, წყვილებს შეუძლიათ, ისეთი დახვეწილი ტორტით მოიწონონ თავი დღესასწაულზე, რომელზეც, სხვა შემთხვევაში, უარის თქმა მოუწევდათ.

ძველ ტანსაცმელს აახლებენ

ტანსაცმლის მწარმოებელმა პოპულარულმა ბრენდმა – H&M-მა, ახალი ტექნოლოგია დანერგა, რომლის წყალობითაც ძველი ტანსაცმლის განახლება ხდება. შვედურმა კომპანიამ ტექსტილის გადამამუშავებელი ახალი მანქანა – Loop წარადგინა, რომელიც ძველ ტანსაცმელს ანაწევრებს, შემდეგ კი ქმნის ქსოვილს, რომლითაც ახალი ტანსაცმელი იკერება. დანადგარი არ გამოიყენებს წყალსა და ქიმიკატებს, რაც ქსოვილის წარმოებას ეკოლოგიურს ხდის. ამიერიდან, სტოკჰოლმის მოსახლეობას შეუძლია ძველი ტანსაცმელი ჩააბაროს, რაშიც მათ კომპანია 11-დან 16 დოლარამდე გადაუხდის. ამ ძველი ტანსაცმლისგან კი, სულ რაღაც ნახევარ საათში, ახალ ქსოვილს მიიღებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.